წელიწადი მესამე
ფასი 10 კაპ.
შაბათი, 1917 წ. მაისის 27 (9)

საქართველო

ხელის მოწერა და [illegible] განცხადებანი მიიღება „საქართველო"-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4. ტელეფონი 15—73
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ [illegible] „Сакартвело", поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი—პირველ გვერდზე პეტიტით [illegible], უკანასკნელზე—20 კ., კაკაბით გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათისშემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღირ. მეტი.
თვიურად გაზეთი ღირს 2 მანეთი.

№ 112 ყოველდღიური გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა № 112

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პირველი და დამფუძნებელი ყრილობა

ივნისს 4, თბილისში მოწვეულ იქნება პირველი და დამფუძნებელი კრება ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიისა.

ყრილობის წეს-რიგი.

I. საპროგრამო საკითხები:

ა. საქართველოს ავტონომია.
ბ. საქართველოს ტერიტორია.
გ. საქართველოს ფინანსები.
დ. სააგრარო საკითხი საქართველოში.
ე. ავტოკეფალია და სარწმუნოებათა საკითხები საქართველოში.

II. სატაქტიკო საკითხები:

ვ. პოლიტიკური მომენტი: რევოლუცია, ომი და ზავი, ახალი მთავრობა, დამფუძნებელი კრება.
ზ. საქართველოს მოსაზღვრე ერები და ოსმალეთის საქართველოს საკითხი.
თ. საქართველოს საპოლიტიკო პარტიები და ეროვნული საბჭოს მოწყობა.

III. საორგანიზაციო საკითხები:

თ. მოხსენება მთავარ კომიტეტისა.
ი. მოხსენებანი ადგილობრივი კომიტეტებისა.
კ. პარტიული პრესა.
ლ. არჩევნები.

ყრილობაზედ გასაგზავნი წარმომადგენელნი უნდა აირჩეს პარტიის ადგილობრივ წევრთა საერთო კრებებზედ, ყოველ ას წევრზედ თითო, სადაც ას წევრზედ ნაკლებია, იქ ერთი წარმომადგენელი უნდა აირჩეს.

თუ პარტიის წევრთა საერთო კრების მოწვევა შეუძლებელი იქნება, წარმომადგენელს ადგილობრივი კომიტეტი აირჩევს.

საქ. ერ.-დემ. პარტიის მთავარი კომიტეტი.

12—708—6

საქალაქო არჩევნებისათვის

განცხადება

თბილისის ქალაქის საბჭო და საარჩევნო კომიტეტი ქ. თბილისისა, ამით აცხადებს, რომ არჩევნებში მონაწილეობის უფლებიანთა აღწერა ამა წლის მაისის 28-დგან დაიწყება და სამს დღეს გასტანს.

რათა არჩევნები საერთო იყვეს და ყოველ მოქალაქეს შეძლება მიეცეს არჩევნებში მონაწილეობისა, ამიტომ საჭიროა ამ სამი დღის განმავლობაში მოქალაქენი შეძლების და გვარად სახლში დარჩნენ, ან და დასტოვონ სახლში ოჯახის წევრი, რომელსაც შეეძლება ოჯახის წევრებზე სწორე ცნობების მიცემა. სასურველია აგრეთვე, რომ სახლში არ მყოფმა მოქალაქემ დასტოვოს პატარა ბარათი, რომელშიაც თვითვე აღნიშნავს თავის შესახებ ცნობებს, დასტოვოს ბაშფორთი ან სხვა რამ არჩევნებში მონაწილეობის უფლების მოწმობა.

თბილისის ქალაქის საბჭო.

2—771—1 საარჩევნო კომიტეტი ქ. თბილისისა.

სახაზინო წინანდელი სახელმწიფო თეატრი

ორშაბათს, 29 მაისს, მსახიობი ქალი ელო ანდრონიკაშვილი გამართავს წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე

შალვა დადიანის პიესა

მღვიმეში.

ფანტასტიური სანახაობა სამს ნაწილად.

პიესა დაწერილია 1905 წ. და შიგ გამოხატულია ფანტასტიურ სამეფოს ძველი მთავრობის დამხობა.

როლებს შეასრულებენ: ქ-ბ. ამირეჯიბი ცაცა, დავითაშვილი ნ., ქილარჯიშვილი მ. ბ. ბ. ბარველი, გამყრელიძე, გვარაძე, იმედაშვილი, კორიშელი, ძატარაძე, მგალობლიშვილი, შალიკაშვილი.

თანამშრომლებში ურევიან: ანდრონიკაშვილი თამარ, კალატოზიშვილი მაყვალა, მაისურაძე ნინო, ციციშვილი ტ. სო. აგრეთვე წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს ქნარზე დამკვრელი ქალი ძ-ნ. **როსტენ**.

პიესა დაიდგმება თვით ავტორის რეჟისორობით. სამხატვრო მორთულობას ხელმძღვანელობს გიორგი ერისთავი.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე. ◆ ბილეთები ისყიდება სახელმწიფო თეატრის კასაში და ძმურ ნუგეშში.
3—706—2

ადმინისტრაცია წიგნების გამომცემელ

ქართველთა ამხანაგობისა

აცხადებს შემდეგს:

1) ქართველთა ამხანაგობის წევრებმა 1 აგვისტომდე უნდა გამოუგზავნონ ადმინისტრაციას თავიანთი მისამართი (ფოსტისა) და აღნიშნონ რიცხვი და №№ თავიანთ პაებისა

2) გარდაცვლილ წევრთა მემკვიდრეთ 1 მუხლში აღნიშნულ ცნობების გარდა 1 აგვისტომდე უნდა გამოგზავნონ პირი მემკვიდრეობის უფლებისა.

3) ამხანაგობის მოვალე წევრთა მიერ შემოტანილი პაის ფული ჩაირიცხება ვალში.

ცნობები უნდა გამოიგზავნოს: თბილისი, სასახლის ქუჩა, სამეურნეო ბანკი, სოფრომ ტარიელაშვილს, ამხანაგობის ადმინისტრაციის წევრს.
3—661—2

ღარიბ მოწაფეთა შემწე

თბ. გუბერნიის თავ.-აზნაურთა საზოგადოების წევრთა

წლიური კრების გაგრძელება

დანიშნულია კვირას, 28 მაისს საღ. 7 საათზე

დეპუტატთა საკრებულოში.

კრების საგანი: არჩევნები გამგე კომიტეტის თავმჯდომარის, მისი ამხანაგის და წევრებისა.
2—709—1

კვირას, მაისის 28-ს, გარდაცვალებიდან წლის თავის შესრულებისას ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გარდახდილ იქნება პანაშვიდი

კნეინა სოფიო მელიტონის ასულის

სუმბათაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ თ. გიორგი და ნიკოლოზ ვასილის ძენი სუმბათაშვილები, ეკატერინე ვასილის ასული დიმნინსკისა, თავადის ასულნი: დარია გიორგის ასული სუმბათაშვილისა და ნატალია ლევანის ასული ბარათაშვილისა. პანაშვიდის დასაწყისი დღის 11 ნახ. საათზე.
1—660—1

შაბათს, მაისის 27, ქ. გორში სამების ეკლესიაში გარდახდილ იქნება ორმოცის, წირვა და პანაშვიდი ნაფიც ვექილის

ნიკოლოზ (კოლა) ყანჩელის

სულის მოსახსენებლად.

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ კნ. მარიამ ერისთავის, სოფიო ამირეჯიბისა და თინათინ ალაბეგიშვილისა შვილებით.
1—710—1

მზათაა გასასყიდათ ახალი რუსული წიგნი

კ. გ. კაპანელის

„ტანჯვა და შემოქმედება"

წიგნი შეიცავს დაახლოვებით 200 გვ. ავტორის სურათით და წინასიტყვაობით, 10×6,—ღირს 2 მან. 50 კ. გამოწერა შეიძლება შემდეგი მისამართით: Тифлисъ, Головинскій пр. 18. Э. А. Брикертъ.

იქვე იყიდება ცალკე ეგზემპლიარი. ნისიათ და ფასდადებით წიგნი არავის გაეგზავნება. ხელის მომწერლებს ვთხოვთ გამოგზავნონ კვიტანციები ქ. შ. წ. გ. ს. წ. მაღაზიაში ან მთავარ საწყობში და მიიღონ წიგნები.

(4—651—4)

კვირას, 28 მაისს 1917 წელს

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების სასარგებლოდ სასახლის ბაღში გაიმართება

დიდი სახალხო სეირნობა

ლატარია-ალეგრით

წმინდა შემოსავლის 10% გადაიდება ომისაგან დაზარალებულთა ოჯახების სასარგებლოდ.

გასართობები ბავშვებისათვის და დიდებისათვის:
პტი-შვო, ბედნიერების კლიტე, დედოფალა, ყვავილები, ფოსტა, რგოლების სროლა, ბედნიერების ბორკა, ტუმბო, საბავშვო გასართობები, კიოსკები და სხვა.

სეირნობის დროს დაუკრავს სამხედრო მუსიკა და საზანდარი.

დასაწყისი დღის 12 საათზე

შესასვლელი ფასი დიდებისათვის 60 კ. მოწაფეთა და პატარეებისათვის 35 კ.
2—703—2

თბილისი, მაისის 27.

ბ-ნი ვერმიშევი და რუსის იმპერიალიზმი

სამწუხაროდ ბევრ რამეს ნაგვიანებათ გავიგებთ ხოლმე. მხოლოდ ამ დღეებში ვსწერდით კადეტების ყრილობაზე და არაფერი კი არ ვიცოდით იმის შესახებ, რომ ყრილობაზე სხვათა შორის ბ. ქრ. ვერმიშევიც ყოფილა, რომელიც კადეტებს ჭკუას ასწავლიდა და თან იმასაც უხსნიდა, თუ რა სასარგებლო მოვლენაა რუსული იმპერიალიზმი კავკასიელთათვის. ვერმიშევმა განაცხადა ყრილობაზე, რომ იგი ბაქოს წარმომადგენელია, „სადაც სისხლის აღების ადათი საარაკოდ შეთანხმებულია სოციალიზმის უკანასკნელ სიტყვასთან" და რათა ეს დებულება ყველასათვის ნათელ ეყო, იქვე შეუდგა რუსეთის რევოლიუციის შექებას. „მე არ მესმის, რას ერჩიან რუსულ იმპერიალიზმს,—განაცხადა მან,—კავკასიაში ამ იმპერიალიზმმა შექმნა უფლებრივი წესი და ის უზრუნველყოფილი ცხოვრება, რომელიც მანამდე არ ჰქონდათ სომხებს. რუსულ იმპერიალიზმს თავისი ცუდი მხარეც ჰქონდა, მაგრამ საზოგადოთ იგი დადებითი ძალაა. და როდესაც ვხედავ, რომ რუს ადამიანებს ეშინიანთ ამ სიტყვისა და ყველა გაურბის მას, მე როგორც სომეხს გული მტკივა რუსეთის წარსულისთვის. ასე სჭამდა ბ-ნი ვერმიშევი კადეტთა ყრილობაზე რუსეთის რევოლიუციას, მისგან მოპოვებულ თავისუფლებებს და ასე უკმევდა გუნდრუკს დემოკრატიისაგან დამხობილ იმპერიალიზმს, იმ იმპერიალიზმს, რომელიც კავკასიაში განსაკუთრებით პატარა ერთა დაჩაგვრაში გამოიხატებოდა.

ჩვენ თითონ ვდებდით ამ დღეებში ბრალს კადეტებს მათ იმპერიალისტურ და რუსიფიკატორულ მისწრაფებისათვის. მაგრამ სჩანს, თვით კადეტებს იმდენად ველურად მოეჩვენა ბ-ნ ვერმიშევის სიტყვა, რომ არც მათ გაზეთ „რეჩში" და არც თუ სხვა რომელიმე გაზეთში მოყვანილიც კი არ იყო. კადეტები იმდენად ჭკვიანი არიან, რომ ასეთი რამ არ გამოამჟღავნონ.

ბ-ნ ვერმიშევმა სხვანაირად განსაჯა. მან იფიქრა, რომ თუ არ მისი სიტყვა, რუსის იმპერიალიზმი ავსტრიაში მაინც დაიღუპება და ვით რუსის იმპერიალიზმისთვის „გულმტკივნეულმა" ადამიანმა, გამოაქვეყნა იმ გაზეთში, რომელსაც თითონვე რედაქტორობს.

ძირითადი განსხვავება ბ-ნ ვერმიშევისა და მიმდინარე რევოლიუციურ ლოზუნგებს შორის ის არის, რომ ვერმიშევი, როგორც სომეხი, ოსმალეთის სომხეთის საკითხს რუსულ იმპერიალიზმს უკავშირებს, რუსეთის რევოლუცია კი იმპერიალიზმს ჰგმობს და ეროვნებათა განთავისუფლების საქმეს ინტერნაციონალურ დემოკრატიის გამარჯვებაზე ამყარებს. ინტერნაციონალური დემოკრატია ევროპის სახელმწიფოთა გარეშე პოლიტიკის საკითხში ახალი ფაქტორია. შესაძლებელია მან გაიმარჯვოს, შესაძლებელია ვერ გაიმარჯვოს. მაგრამ საკითხის ასე დაყენება რევოლუციის პროცესის ბუნებრივ მეთოდიდან გამომდინარეობს. რას გვაწვდის ამის ნაცვლად ბ-ნი ვერმიშევი? ძველ რუსულ იმპერიალიზმს, რომელმაც, ვიდრე ოსმალეთის სომხეთს გაანთავისუფლებს, გზაზე და ყველაზე ადრე შინ ყველაფერი უნდა გათელოს, ჯარები იყოლიოს, ციხესიმაგრეები აშენოს, სახლში რეაქცია გააძლიეროს, ომები გამოაცხადოს და სისხლის ღვრა გააჩაღოს!

აი, რას თხოულობს ბ-ნი ვერმიშევი და არა იმას, რასაც ის სომხების განთავისუფლებას ეძახის.

ხალხი და სამართალი

როგორ უნდა მოეწყოს სასამართლო? ეს კითხვა დიდია და ვრცელი.

შევეხოთ ჯერ-ჯერობით მომრიგებელ მოსამართლეებს.

თუ თვალს გადავავლებთ ცხოვრებას, თუ ჩაუკვირდებით მის უფლებრივ განწყობილებას, ჩვენ აშკარად დავინახავთ ორს ვრცელ არეს. ერთი არის ცხოვრება მუშა ხალხისა და გლეხობისა, მეორე—უფრო დაწინაურებული, ეკონომიურად უფრო გამაგრებული და განვითარებული კლასებისა. პირველი ვრცელია და თვალგადუწვდენელი, მაგრამ უფლებრივი თვალსაზრისით თითქო ბურუსშია გახვეული. იქ არის მუდმივი შრომა, ბრძოლა ცხოვრებისთვის, მაგრამ იქ არა ჰკრთის, იქ არ ელავს უფლებრივი აზრი, იქ საურთიერთო განწყობილება არ არის ჩამოსხმული მკაფიო და მკვიდრ უფლებრივი ფორმულებში.

სულ სხვა სურათს წარმოადგენს მეორე არე, სადაც ჰმოქმედებს ეკონომიურად უფრო გაშუქებული და გონებით უფრო განვითარებული ხალხი. იქ იურიდიული აზროვნება უფრო გავრცელებულია, იქ საურთიერთო განწყობილება უფრო ჰპოულობს სწორს და უტყუარს უფლებრივ გამოხატულებას და უფლებრივი ცხოვრებაც უფრო მკვეთრია, მკაფიო და გასაგები.

პირველ არეში ჰმოქმედობს უფრო ადათი და ჩვეულება, მეორეში—კანონი და იურიდიული ნორმები. მართალია მამოძრავებელი ძალა ყველგან ინტერესია, მაგრამ იქ, სადაც ინტერესი ცოტაა და უმნიშვნელო, აბა ვის აქვს თავი იზრუნოს კიდევ ამ ინტერესის იურიდიულ მხარეზე. მუშა ღებულობს დღეში ერთს ან ორ მანათს, გლეხ-კაცის ყოველ დღიური ინტერესიც შორს არ მიდის, აბა რა იმისი სცხელა ან ერთს, ან მეორეს, რომ ეს ინტერესი იურიდიულად სწორედ გამოჰხატოს და ჩამოაყალიბოს? სულ სხვაა—როცა ინტერესი დიდია და მნიშვნელოვანი. როცა მუშის ან გლეხის ინტერესი ხუთას და ათას მანეთამდე ადის, მაშინ ისიც ფრთხილად არის, მაშინ იგი ვექილსაც კი დაეძებს, ნოტარიუსთანაც მიდის, ერთის სიტყვით, ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ თავისი უფლებრივი მდგომარეობა ნამდვილ უზრუნველჰყოს, მაშინ იგი ასცდება ხოლმე მდაბიო და გაურკვეველ პსიხოლოგიას, ასცდება ხოლმე იმ არეს, რომელიც თითქო ბურუსით არის მოფენილი, და გადადის საერთო უფლებრივ აზროვნების სფეროში.

ამ მცირე მოსაზრებიდან სჩანს, რომ საზოგადოდ უფლებრივი ცხოვრება იყოფება ორ დიდ ნაწილად—ნაწილი მცირე ინტერესებისა და ნაწილი დიდი და მნიშვნელოვანი ინტერესებისა. ამის და მიხედვით მართლ-მსაჯულება ისე უნდა იყოს მოწყობილი და აშენებული, რომ სრულიად აკმაყოფილებდეს ორივე სფეროს, ორივე მოთხოვნილებათა დარგს. ამიტომ თითქმის ყველგან არის ორნაირი სასამართლო—მომრიგებელი და საერთო.

მომრიგებელ სასამართლოს მიზნად აქვს დააკმაყოფილოს უფრო წვრილმანი ინტერესები, მოაწესრიგოს ყოველდღიური საურთიერთო განწყობილება. აქ ჰმოქმედობს დაწერილი იურიდიული ნორმები კი არა, არამედ უფრო ადგილობრივი ზნე და ჩვეულება, ადგილობრივი მცხოვრებთა პსიხოლოგია. აქ უფრო შესაძლებელია იურიდიული დავა და კამათი კი არა, არამედ მეგობრული რჩევა და მორიგება. სწორედ იმიტომ ჰქვიან მოსამართლესაც - მომრიგებელი მოსამართლე.

ამ საერთო მოსაზრებიდან გამომდინარეობს ბევრი საგულისხმო შედეგებიც. პირველი—მომრიგებელ მოსამართლეს უნდა ირჩევდეს ხალხი, უნდა იყოს აღჭურვილი ხალხის ნდობით და პატივისცემით, უნდა იცოდეს ადგილობრივი ენა, ზნე და ჩვეულება. მეორე—მისი სამოსამართლო უფლება უნდა შეიცავდეს მხოლოდ ისეთ საქმეებს, სადაც მომჩივანთა ინტერესები მცირეა, მცირე ფასიანი, მცირე-მნიშვნელოვანი. როგორც წინედაც ვსთქვი, დიდ-ფასიანი და დიდ-მნიშვნელოვანი საქმეები ადგილობრივ ადათსა და ჩვეულებას გადადის და ყოველთვის ესწრაფვის არა ადგილობრივი, არამედ საერთო უფლებრივი სახე მიიღოს.

მაგრამ სად არის ის ხაზი, რომელიც ამ ორ ნაწილს განყოფს?

რა საკვირველია, მათემატიკურის სისწორით ამ ხაზის გავლება ყოვლად შეუძლებელია. აქ შეიძლება მხოლოდ დაახლოვებით ამ ხაზის გატარება, იმისდა მიხედვით, თუ რა დონეზე სდგას ეკონომიური და კულტურული განვითარება ხალხისა. აქამდე საქართველოს და მთელ კავკასიას უყურებდნენ, როგორც ყოველ მხრივ ჩამორჩენილს და დაკარგულ ქვეყანას. ამიტომ მომრიგებელ მოსამართლეს ექვემდებარებოდა ყოველი საქმე, რომლის ფასი ორი ათას მანათზე მეტი არ იყო. შიდა რუსეთში კი ეს ხაზი განისაზღვრებოდა 500 მანეთით. ეჭვი არ არის, რომ ჩვენი ქვეყანა ეკონომიურად და კულტურულად არაფერში ჩამოუვარდება რუსეთის სხვა და სხვა მხარეს. ხალხი განვითარდა, ესმის თავის ინტერესები და ადგილობრივ ადათის და ჩვეულების ფარგლებში მომწყვდევა მისი იურიდიული განვითარებისა ყოვლად შეუძლებელია. ამიტომ უნდა შემცირდეს ფასიც იმ საქმეებისა, რომელიც აქამდე ექვემდებარებოდა მომრიგებელ მოსამართლეს 500 ან 1000 მანათამდე. ეს რეფორმა მით უფროა აუცილებელი, რომ ეხლა უნდა გაუქმდეს სასოფლო სასამართლო და ყოველი ის წვრილმანი საქმეები, რომლებიც სასოფლო სასამართლოში ირჩეოდა, ეხლა ყველა მომრიგებელ მოსამართლის ხელში მოგროვდება. მაშასადამე იგი ისე დატვირთული იქნება საქმეებით, რომ რიგიანი მათი წარმოება შეუძლებელი გახდება.

ზემო მოყვანილ მოსაზრებიდან გამომდინარეობს კიდევ ერთი რამ: თუ ეს წვრიმალი საქმეები აღმოცენებულია ადგილობრივ პსიხოლოგიაზე, თუ ადგილობრივ ცხოვრების ხასიათს, ზნე და ჩვეულებას იქ უკავია დიდი ადგილი, აშკარაა, სამართლის რიგიანად საწარმოებლად დიდად ხელსაყრელი იქნება, თუ თვითონ ხალხი თავის წარმომადგენლებით მონაწილეობას მიიღებს ამ სასამართლოს წარმოებაში. ამიტომ მომრიგებელ მოსამართლესთან უნდა იყოს კიდევ ხალხისაგან ამორჩეული ორი ადგილობრივი მოსამართლე. ამნაირად სასამართლო იქ-

ნება კოლეგიური: მომრიგებელი მოსამართლე და მასთან ორი ადგილობრივი მცხოვრებიც. ამისთანა კოლეგიას არ გამოეპარება არც უფლებრივი მომენტი, არც ადგილობრივი ზნე და ჩვეულება. სამართლის წარმოებაც დადგება სასურველ დონეზე.

ენა... ენა, რასაკვირველია, უნდა იყოს ადგილობრივი, ხალხისთვის გასაგები. საქართველოში რა თქმა უნდა ქართული ენა იქნება.

აი, ამ მოსაზრებათა გარშემო ტრიალებდა გუშინ წინ კამათი სასახლეში, სადაც საეროვნო სათათბიროს სხდომა იყო იურიდიულ კომისიისა და პაპაჯანოვის თავმჯდომარეობით და სენატორი რუაძის თანადასწრებით. კამათი ჯერ არ გათავებულა.

გიორგი გვაზავა

საქართველოს ავტონომია და მიწის საკითხი

გუშინდელო გლეხებო, დღეს თავისუფალო ადამიანებო!

ყველას მონა მორჩილი თქვენ იყავით: მემამულისა, ბოქაულის, მაზრის უფროსის, გუბერნატორის, მინისტრისა და ხელმწიფის. ყველა ეს ბატონები მოგაშორეს თქვენმა შვილებმა—მუშამ და სალდათმა. დღეს თქვენ თავისუფალი ადამიანები ხართ, თავისუფალი მოქალაქე.

ამიტომ ფრთხილად უნდა იყოთ, უნდა თვალი კარგათ გაახილოთ, რომ კიდევ არავინ წამოგასკუპდეთ თავზე ბატონათ.

დღეს თავისუფალი ხართ, მაგრამ ცოდნა არა გაქვთ და თქვენის უცოდინარობით ბევრი სარგებლობს და ისარგებლებს.

დღეს თქვენთან ყველა ტკბილი ენით მოდის. ყველას შაქარი ამოსდის თქვენთვის პირიდან, მაგრამ იცოდეთ, ბევრს მოუტყუებიხართ და ცარიელ სიტყვას, თუნდა ქრისტე რომ მოვიდეს და იმან გითხრათ, მაინც არ უნდა ენდოთ.

ყველას ნათქვამი კარგათ აწონ-დასწონეთ, კარგათ გაიგეთ და, რაც თქვენთვის სასარგებლო იყოს, ის მიიღეთ.

ბევრჯერ მითქვამს და კიდევ გეტყვით: საქართველოს შინაური—ეროვნული თვით-მართველობა თქვენთვის არის საჭირო და სასარგებლო.

საქართველოს ბედს ქართველი ხალხი უნდა განაგებდეს. ჩვენს ქვეყანაში ყოველისფერი საქვეყნო ისე უნდა კეთდებოდეს, როგორც თქვენ გინდათ და არა ისე, როგორც პეტროგრადში ან და მოსკოვში უნდათ. რატომ?

იმიტომ, რომ თქვენი საჭიროება თქვენ რომ იცით, ისე ვინ იცის?

იმიტომ, რომ თქვენ საქმეებს თქვენ რომ გააკეთებთ, ისე ვინ გააკეთებს?

იმიტომ, რომ თქვენი სოფლისათვის თქვენ რომ შეგტკივათ გული, ისე ვის შესტკივა?

იცოდეთ, რუსეთი დიდი, ძალიან დიდი ქვეყანაა, თვალ-გადაუწვდენელი სახელმწიფოა. ათასნაირი ხალხი ცხოვრობს შიგ. ზნე-ჩვეულება, ადათი და წესი ყველას სხვა და სხვანაირი აქვს.

რაც ერთისათვის კარგია, ის მეორეს არ გამოადგება.

რუსეთში ბევრგან გლეხი არ არის მიწის მესაკუთრე; მას საკუთარი არც ყანა აქვს, არც ვენახი. მთელი მიწა სასოფლოა, სათემო. ყოველი გლეხი კი ვადით სარგებლობს ამ მიწით. დღეს რომ ერთ ალაგას მიუზომავს მას სოფელი მიწას, რამოდენიმე წლის შემდეგ შესაძლებელია, სულ სხვაგან მიუზომოს.

თქვენ კი მესაკუთრე ხართ მიწისა. თქვენის შრომით შეგიძენიათ სახნავი და სათესი, გაგიშენებიათ ვენახი ან ბაღი; გარს დასტრიალებთ და უვლით, შვილივით გიყვართ და ცოცხალის თავით არავის დაუთმობთ.

განა ცხადი არ არის აქედან, რომ თქვენ სულ სხვანაირად უყურებთ მიწასა და მიწის საკითხს, რუსის გლეხი კიდევ სხვანაირად?

აი ერთი დიდი მაგალითი, რასაც ძალიან კარგად უნდა ჩაუკვირდეთ და ჩაუფიქრდეთ.

ამ დღეებში მოხდა კავკასიის ჯარის რჩეული კაცების ყრილობა ჩვენს ქალაქ თბილისში.

უმეტესი ნაწილი რუსები იყვნენ.

იცით, რა დაადგინეს ამათ მიწის შესახებ? მაშ ყურები კარგად გამოიწმინდეთ და მისმინეთ.

მიწა მიწის მუშასო.

— სწორედ ჩვენც ეს გვინდაო, მეუბნებით თქვენ. ჯერ ყური დამიგდეთ, ნუ აჩქარდებით.

მთელი მიწა მთელ მშრომელ ხალხსო.

— სწორედ, ასე უნდაო, მეუბნებით თქვენ. ყური მიგდეთ ბოლომდინ, ნუ აჩქარდებით.

ყოველგვარი კერძო საკუთრება მიწისა უნდა მოისპოსო, მიწა საკუთრებად არავის უნდა ჰქონდესო.

რატომ აღარაფერს ამბობთ, ვერ გაიგეთ?

რა გაგება უნდა!

მიწა უნდა ჩამოერთვას ყველას—გლეხსაც, თავადსაც, აზნაურსაც, თქვენც—სულ ყველას. ყველას ეს მიწა—თქვენი, თავადისა და გლეხისაც, უნდა ჩაბარდეს სოფლის საზოგადოებას და შემდეგ გაიცეს იჯარით სოფლის სახელზე.

ეს დადგენილება რომ გამართლდეს, თქვენ უნდა გამოეთხოვოთ საკუთარ ვენახს, ბაღს, ყანას, ამას ჩაიბარებს სოფლის საზოგადოება და მერე ან თქვენ მოგცემთ იჯარით ან სხვას.

მერე ეს გინდათ თქვენ?

რასაკვირველია, არა.

თქვენთვის საჭიროა, რომ თქვენის შრომით, თქვენის ოფლით გაშენებულ და განაყოფიერებულ ამ თქვენ საკუთრებას უნდა მიემატოს კიდევ, რადგანაც ეს თქვენ არა გყოფნით.

საიდგან უნდა მიემატოს?

არის სახელმწიფო, საეკლესიო, საუფლისწულო ადგილები. ყველა ეს ადგილები უნდა მიიღოთ თქვენ—სოფლის გლეხებმა. არიან დიდი მემამულეები, რომლებსაც უნდა ჩამოერთვას უმეტესი ნაწილი თავის ადგილ-მამულისა და გადაეცეს მიწის მუშებს—თქვენ, თქვენს სახლიკაცებს.

აი ეს გინდათ თქვენ და არა ის, რომ რაც გაქვთ, იმაზე ხელი აგაღებინონ, ისიც ჩამოგართვან: თქვენს საკუთრებაზე ხელი აიღეთ და სამაგიეროთ იჯარით მეტს მოგიზომავთო.

ათ დღიურ იჯარით აღებულს თქვენი საკუთარი ერთი დღიური არ გირჩევნიათ?

რუსის გლეხს-კი არ ურჩევნია, რადგანაც მას საკუთრება არ გააჩნია, ის საიჯარო, სათემო მიწას არის შეჩვეული.

ადვილი შესაძლებელია, მთელი რუსეთის ხალხმა დამფუძნებელ კრებაზე სწორეთ ისე გადაწყვიტოს მიწის საკითხი, როგორც ეს ჯარის წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს ჩვენს ქალაქში.

ასეთი გადაწყვეტა მიწის საკითხისა რუსეთის გლეხისათვის ფრიად საყურადღებოა. მას საკუთარი მიწა არ გააჩნია და მშიერია; სამაგიეროთ ძალიან ბევრი სახნავ სათესი აქვთ მემამულეებს. მემამულეებს რომ ეს მიწები ჩამოერთვას და იჯარით გადაეცეს რუსის გლეხობას, გლეხობა ძალიან მოგებული დარჩება.

გლეხების უმეტეს ნაწილს რუსეთში მიწის კერძო საკუთრება არ გააჩნია. ამიტომ იმგვარი კანონით, რომელიც მიწის კერძო საკუთრებას აუქმებს, რუსეთის გლეხობა არაფერს არ ჰკარგავს, პირიქით იგებს ბევრს,—მემამულეები კი ჰკარგავენ.

ჰოდა ვთქვათ რუსეთის დამფუძნებელმა კრებამაც ისე დაადგინა, როგორც კავკასიის ჯარის წარმომადგენლებმა.

მაშინ ეს დადგენილება დაკანონდება და გამოგიცხადებენ: რადგანაც ახალის კანონით მიწის კერძო საკუთრება რუსეთის მთელ სახელმწიფოში ისპობა, თქვენც—ქართველ გლეხებს უნდა ჩამოგართვათ საკუთარი ადგილ-მამული და იჯარით მიიღებთ, სადაც შეგხვდებათო.

ვეღარაფერს ვეღარ გააწყობთ,—უნდა გამოეთხოვოთ შვილივით ნაამაგარ ყანა-ვენახს.

კანონის წინაშე რა ძალა გაგივათ; გსურთ ეს, თუ არაო, ამას კი აღარავინ გკითხავთ.

ერთად-ერთი თქვენი ხსნა სწორეთ საქართველოს ეროვნულ თავისუფლებაშია ანუ ავტონომიაში.

ჩვენ გვეყულება საკუთარი მთავრობა. მიწის საკითხს გაარჩევენ ჩვენში ჩვენმიერ არჩეული პირები. აარჩევთ თქვენ ვინც გინდათ.

ვის აირჩევთ თქვენ?

იმას, ვინც გეტყვით, საკუთარი ადგილ-მამული უნდა წაგართვათ და სოფლის საზოგადოებას უნდა გადავცეთო?

ცხადია ასეთი აზრის კაცს თქვენ არ აირჩევთ.

მაშ, ვის მისცემთ ხმას?

იმას, ვინც გეტყვის: ჩემო პეტრე! ივანე და სხვ. თქვენი საკუთარი ადგილ-მამული ღმერთმა თქვენვე მოგახმაროთ. მაგრამ შევეცდები დიდ მემამულეებს, მონასტრებს, ეკლესიებს, სახელმწიფოს ჩამოვართვა მიწები და თქვენ დაგირიგოთ—სოფლის მუშებს, რადგანაც მიწა თქვენთვის გაუჩენია ღმერთსო.

მიწის საკითხი რომ ისე გადაწყდეს ჩვენში, როგორც თქვენთვის არის სასარგებლო, სწორეთ ეროვნული თვითმართველობაა თქვენთვის საჭირო.

თუ ჩვენ საკუთარი თვითმართველობა ვერ მოვიპოვეთ, მიწის საკითხი შესაძლებელია ისე გადაწყდეს რუსეთში, როგორც ჯარის წარმომადგენლებმა დაადგინეს ქალაქში და ეს იქნება თქვენი ყელის გამოჭრა და დაღუპვა.

მაშ თუ გინდათ, საკუთარ ადგილ-მამულს, ბაღსა და ვენახს გამოეთხოვოთ, იყვირეთ: ძირს ჩვენი თვითმართველობა, ჩვენი ავტონომიაო; იყვირეთ ისე, რომ რუსეთმა გაიგონოს.

ხოლო, თუ გინდათ, რომ თქვენს საკუთარს ადგილ-მამულს, ბაღსა და ვენახს კი არ მოაკლდეს, არამედ მოემატოს, მაშინ იყვირეთ: გაუმარჯოს ჩვენს თვითმართველობას, ჩვენს ავტონომიასო! იყვირეთ ისე, რომ მთელმა რუსეთმა გაიგონოს.

ივ. გომართელი.

რევოლუცია

დეპეშები

ლენინი და გლეხობა

პეტროგრადი, მაისის 23. გლეხთა ყრილობაზე ლენინის სიტყვას მეტად ცივათ შეხვდნენ. არავითარი თანაგრძნობა არ გამოუწვევია მის პროექტს, ეხლავე მიწები ჩამოვართვათო.

სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლებულნი

პეტროგრადი, 23. კერენსკიმ ხელახლად აღძრა საკითხი სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლებულთა შესახებ. ბევრნი ისეთს ადგილას მსახურობენ, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვს სამხედრო თავდაცვასთანაო. რომ ჯარებში უკმაყოფილება არ მოხდეს, ხელახლად ყველანი უნდა შემოწმებულ იქმნენო.

შინგარევის აზრი

დონის-როსტოვი, მაისის 17. (დაგვიანებულია) თავისუფლების სესხის გამხორციელებელ კომიტეტის თათბირზე ფინანსთა მინისტრმა შინგარევმა განაცხადა: „როდესაც თავისუფლების სესხს შევუდექით, მთავრობას მრავალი დაბრკოლება გადაელობა წინ, რამაც ერთიანად შეაშფოთა ჩვენი მოკავშირენი. ჩვენ ერთი ღონისძიება-ღა დაგვრჩენოდა: ქაღალდის ფულის გამოშვება. მინისტრმა მიუთითა საფრანგეთზე, რომელმაც დაჰკარგა მთელი ქვანახშირისა და შაქრის დეპარტამენტები, საუკეთესო სახნავსათესი რაიონები, მაგრამ მაინც სიძვირე არ ჩამოვარდნილა იქაო. იქ ქაღალდის ფულის გამოშვება ნაკლებ საზარალო იყო, ვიდრე აქ, სადაც ხალხმა უგნურობამდის მიიყვანა ხელგაშლილი ცხოვრება. ყველა სცდილობს არავის ჩამორჩეს ქეიფში. მოგების და გამდიდრების წყურვილმა ჩანთქა ჩვენი სახელმწიფოებრივი ორგანიზმი. თავისუფლების განმარტებაც თავისებურად გადაიღეს და ისე გაიგეს, როგორც ალვირ ახსნილი თვითნებობა. არავისა ჰსურს გადასახადების გაღება, მაშინ როდესაც ყოველგან შრომის სასყიდელს მოითხოვენ ათჯერ მეტადა. ყოველგან უგნური და გასაოცარი მოთხოვნილებანი. მე ვამბობ სიმართლეს, არც მეშინის ამისი თქმისა, რომ სამშობლო განსაცდელშია და მის სახსნელად საჭიროა ყველამ გაიღოს უკანასკნელი გროში, უკანასკნელი გასაღები შემოსავლისა.

მოსკოვი, მაისის 21. დაიწყო სრულიად რუსეთის სასურსათო ყრილობა. ფინანსთა მინისტრმა შინგარევმა სიტყვა წარმოსთქვა, სადაც სხვათა შორის შემდეგი სთქვა: თავისუფლება დაიღუპება შინაური არევ-დარევით, ანარქიით ფინანსიური კრიზისით და შიმშილით. დროებით მთავრობას მოლოცვის დეპეშებს ყველა უგზავნის, მაგრამ ეს მხოლოდ ლიტონი სიტყვებია. სიტყვით ერთგულების დამტკიცება არ იქნება. მდგომარეობა საშიშია, მაგრამ სინამდვილეს პირდაპირ უნდა შევხედოთო.

მიწით ვაჭრობის აღკრძალვის სურვილი

ტამბოვი, მაისის 23. გუბერნიის გლეხთა ყრილობამ დაადგინა: რადგან მემამულეები მიწებსა ჰყიდიან, ტყეებსა სჩეხენ და სხვა, ამიტომ ეთხოვოს მთავრობას გამოაცხადოს, რომ იანვრის პირველს აქეთ ყოველივე ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულობა უკანონოა.

კერენსკი რიგაში

რიგა, მაისის 23. გენერალ დრაგომიროვის თანხლებით სწრაფ მატარებლით მოვიდა კერენსკი. პერრონზე საპატიო ყარაულები დაუყენეს. მოისმინა რა გენერალ რადკო-დმიტრიევის მოხსენება, მისალმების შემდეგ მინისტრმა სთქვა: ის შეგნება, რომ იგი რევოლუციონურ ლაშქრის სათავეში სდგას, აძლევს მას სამოქმედოდ გაასკეცებულს ენერგიას შტაბში. მინისტრი დიდხანს ესაუბრა ლაშქრის სარდლებს. ქუჩაში ჯარი და ხალხი კი „ურა"-ს ძახილით ეგებებოდა. კერენსკი ბრძოლის ველისკენ გაემგზავრა.

თავისუფლების სესხი

კალუგა, მაისის 24. თავისუფალ სესხზე ხელის მოწერამ სამ-ნახევარ მილიონ მანეთს მიაღწია.

მთავრობის წინააღმდეგ

რეველი, მაისის 23. სამებობას რამდენიმე ბოლშევიკი ქუჩებში პროკლამაციებს ავრცელებდა და მთავრობის წინააღმდეგ აგიტაციას ეწეოდა. აღელვებულმა ხალხმა მათი დატუსაღება მოითხოვა, გაისმა ხმები: მოჰკალითო. ამიტომ ბოლშევიკთა ფრაქციამ რეველის მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოში სიტყვის თავისუფლების შესახებ რეზოლიუცია შეიტანა. რეზოლიუცია ასეთი შესწორებით მიიღეს: „თუ ორატორი არ მოუწოდებს ხალხს რესპუბლიკის ღალატისა, ფრონტზე იარაღის დაყრისა და სახლში დაბრუნებისათვის". ბოლშევიკებმა ამის გამო კრება დასტოვეს. ქვორუმის დაშლის გამო კრება დაიხურა.

ეგორ საზონოვის ნეშტი

ირკუტსკი, მაისის 23. ნერჩენის კატორღის სასაფლაოზე აღმოაჩინეს მინისტრ პლევეს მკვლელის ეგორ საზონოვის ნეშტი. სადგურზე ნეშტს მიეგებნენ სოციალ-რევოლუციონერთა წარმომადგენლები, ჯარი და ხალხი. ნეშტი გაგზავნილ იქმნა უფაში საზონოვის სამშობლოში.

დათხოვნანი და დანიშვნები

პეტროგრადი, მაისის 23. რუსეთის ელჩი ნორვეგიაში—გულკევიჩი—შვეციაში დაინიშნა. დათხოვნილ იქმნენ: რუსეთის ელჩი ინგლისში—საზონოვი, საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი ნოლდე, საგარეო საქმეთა ეკონომიურ დეპარტამენტის დირექტორი სტრუვე, კიევის სამხედრო ოლქის უფროსი ხოდოროვიჩი; მის მაგივრად დანიშნულია პოლკოვნიკი ობერუჩევი.

კერენსკის აზრი

პეტროგრადი, მაისის 23. კერენსკიმ დროებით მთავრობას მოახსენა, რომ ლაშქრის დღევანდელი მდგომარეობა დიდს იმედებს იძლევა, ჯერ კიდევ მის მისვლამდე თვითონ ჯარი ბრძოლის ველზე დისციპლინის აღდგენას ცდილობდა.

დატუსაღება

მინსკი, მაისის 23. დაატუსაღეს გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს ყოფილი უფროსი ბობრინსკი, რომელსაც სხვათა შორის ჟანდარმთა სამმართველოს საჭირო ქაღალდების დაწვას აბრალებენ.

კიევი, მაისის 23. პრეასლავის კომისარის ხრუსტალევ ნოსარის ურიგო ქცევის გამო, კიევის სამხედრო დეპუტატთა საბჭომ დაადგინა, თუ საჭიროება მოითხოვს ხსენებული კომისარი დაატუსაღოს.

ბესარაბიაში

ადესა, მაისის 23. (დაგვიანებულია) პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოს აგენტთან, რომელიც სააგენტოს მონდობილობით კიშინიოვში მიემგზავრებოდა პეტროგრადელ მუშათა და ჯარის კაცთა დეპ. აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენელს სოკოლოვს განუცხადებია, რომ ის ხმები, თითქოს ბესარაბია კონტრ-რევოლუციას ჰქმნიდეს—ყოველგვარ საფუძველს მოკლებულიაო. ადგილობრივი მცხოვრებნი სულით და გულით მიენდნენ ახალს მთავრობას, მაგრამ ადგილობრივ მთავრობის ზოგიერთი წევრები ყოველთვის არ თანაუგრძნობენ დემოკრატიულ მიმართულებას. მხოლოდ მოლდავანელთა ნაციონალიზმის განვითარება წარმოადგენს საფრთხეს. აგრარულ ნიადაგზე მომხდარი უწესოებანი არაა მომხდარა-რა. იყო მცირედი არეულობა საძოვრების საქმეებზე, მაგრამ მალე ჩააქრეს.

სესხის მიცემა

კიევი, მაისის 24. სასურსათო საქმის მოსაგვარებლად ქალაქს მიეცა 2 მილიონის სესხი.

ინჟინერთა ყრილობა

მოსკოვი, მაისის 24-ს დამთავრდა ინჟინერთა ყრილობა. ყრილობაზე შემუშავებულ იქმნა დადგენილება და პრეზიდიუმი იქმნა არჩეული.

კერენსკი და უანექსიო ზავი

ადესა, მაისის 17 (დაგვიანებულია) ფრონტის ყრილობაზე კერენსკიმ სთქვა: — რუსეთის სახელმწიფომ უკუ აგდო დაპყრობითი ლოზუნგები. გერმანეთში კი იმპერიალიზმი თან და თან ფეხს იკიდებს. მოვიყვან მაგალითს: ფრონტზე დროებით მშვიდობიანობა ჩამოვარდა, ჩვენ პოლკს და გერმანეთის პოლკის შუა. ზავის ქაღალდზე ხელი მოაწერეს ჩვენმა ორმა უნტერ-ოფიცერმა და გერმანეთის ორმა ოფიცერმა. გერმანელებმა თავიანთი მხრივ „ანექსიაზე" ხელი აიღეს, ხოლო ჩვენებმა უარი განაცხადეს ვილნოს და კოვნოს დაბრუნებაზე. ჩვენ ვერ შევურიგდებით ჩვენი მიწის დაკარგვას. ზავი უანექსიო ნიშნავს, რომ გერმანელებმა ხელი უნდა აიღონ სხვის მიწებზე, თუ ნებით არ დასთმობენ, ძალით უნდა ვაიძულოთ.

მღვდელი და მრევლი

მინსკი, მაისის 16. (დაგვიანებულია) სოფ. მიროჩში გლეხები მიუცვივდნენ ადგილობრივ მღვდელს, წაართვეს სადვთისმსახურო წიგნები, თვით დაითხოვეს, გამოასახლეს სამღვდელო სახლიდან, ხოლო საეკლესიო მიწები თვით დაიყვეს.

ლოთები და რევოლიუცია

კრონშტადტი, მაისის 17. აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა, ყველა ლოთი, რევოლუციის მტრად გამოაცხადოს; ხოლო სპირტის და სხვა მაგარ სასმელების გამყიდველთა ქონებას კონფისკაცია უყოს. ლოთობაში შენიშნულთ სასწრაფოდ ბრძოლის ველზე გაჰგზავნიან.

კერენსკი რიგაში.

რიგა. მაისის 24. ოლქის სასამართლოს შენობის წინ კერენსკიმ აუარებელ ხალხს სიტყვით მიჰმართა და აღნიშნა, რომ რუსეთმა ამ მდგომარეობას სასახელოდ უნდა დააღწიოს თავი და ამიტომ მოუწოდა ხალხს რევოლიუციურ ძალის გაძლიერებისათვის. შემდეგ კერენსკი ფრონტზედ გაემგზავრა. ჯარი მინისტრს აღფრთოვანებით ჰხვდებოდა. მინისტრმა თხრილების პირველი ხაზი ინახულა. სანგრების დათვალიერების შემდეგ კერენსკი რიგაში დაბრუნდა, სადაც ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენლებთან და მე-12 არმიის კომიტეტთან იქონია მსჯელობა მიმდინარე საქმეების შესახებ.

დროებით კომიტეტთან არსებულ სამხედრო კომისიის გაუქმება.

პეტროგრადი, მაისის 17. (დაგვიანებულია) სახელმწიფო სათათბიროს აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე როძიანკო საზღვაო-სამხედრო მინისტრს კერენსკის შეეკითხა სცნობს თუ არა საჭიროდ დროებით კომიტეტთან არსებულ სამხედრო კომისიის მუშაობას. ზემოხსენებულ შეკითხვაზე სამხედრო მინისტრმა შემდეგი რეზოლიუციით უპასუხა: სამხედრო კომისიამ პირველ ორი თვის განმავლობაში ბრწყინვალედ შეასრულა მინდობილი საქმეები და ახლა საჭირო აღარ არის მისი მუშაობა. მადლობას ვწირავ კომისიის ყველა წევრებს სასარგებლო მუშაობისათვის.

ბრძანება სამხედრო უწყებას.

პეტროგრადი, მაისის 24. 1917 წ. მაისის 22 თარიღით სამხედრო და საზღვაო მინისტრი კერენსკი სამხედრო უწყებას უბრძანებს:

1) ამ ბრძანების მიღებიდგან სამი კვირის განმავლობაში გაჰგზავნონ ფრონტის მორიგ გენერლებთან ფრონტზედ გასაგზავნათ ყველა ის ჯარისკაცი და აფიცერი, რომლებიც წითელი ჯვრის, სრულიად რუსეთის ერობათა კავშირში და სხვა ამ გვარ დაწესებულებებში მსახურებენ.

2) ყველა ჯარისკაცი, სანიტარი და სამხედრო ბეგარის მოხდელი, რომელთაც „ასტროჩკები" აქვთ და ზემოხსენებულ დაწესებულებებში მსახურებენ, იმავე ვადის განმავლობაში უნდა გაიგზავნონ სათადარიგო ჯარის ნაწილებში. გამონაკლისს შეადგენენ პროვიზორები, მედლები, ფარმაცევტები, ქიმიკოსები, შოფერები, კბილის ექიმები, ბეითლები, ტეხნიკები, ფერშლები და სხვანი.

3) ზემოთქმულიდან არავისათვის არავითარი გამონაკლისი არ უნდა იყვეს. კატეგორიულად უარჰყოფს ყოველგვარ შუამდგომლობას სამხედრო ბეგარიდან განსათავისუფლებლად.

წითელ ჯვრის დაწესებულების დელეგატთა კრება.

მოსკოვი, მაისის 24. დაიწყო წითელ ჯვრის დაწესებულებათა კრება. რუსეთის სხვა და სხვა ადგილებიდან 300 დელეგატზე მეტი დაესწრო.

ეროვნული საკითხი

ფინეთი.

ჰელსინგფორსი, მაისის 16. (დაგვიანებულია) ადგილობრივი პრესა არჩევს თანამედროვე მდგომარეობას და ამბობს: „ჩვენ იმედი გვაქვს, რომ რუსული გაზეთები, რომლებიც ჩვენი ერის განთავისუფლებისაკენ მისწრაფებას მხოლოდ ბურჟუაზიულ კლასებს აკუთვნებდნენ, ეხლა იძულებულნი იქმნებიან იცნან, რომ ამ მისწრაფებას ჩვენი სოციალ-დემოკრატებიც უჭერენ მხარს. პარტიათა განსაზღვრის ცდა მუდამ უნაყოფოდ ჩაივლის". „სვენსკა-ტიდნინგენ"-ი სწერს: „განახლებული რუსეთის მთავრობა მზათ არის დაარღვიოს ფინეთის მიმართ მისგანვე გამოცხადებული აქსიომა ერთა თვითგამორკვევისა".

ებრაელები.

ჰელსინგფორსი, მაისის 24. დროებით მთავრობის მიერ დამტკიცებული კანონ-პროექტი ებრაელთა თანასწორუფლებიანობის შესახებ სეიმს გადაეცა განსახილველად.

პეტროგრადი, მაისის 24. დღეს გაიხსნა სრულიად რუსეთის სიონელთა ყრილობა. დაესწრო 500 დელეგატი. ყრილობის თავმჯდომარედ ამორჩეულ იქმნა ექიმი ჩლენოვი, რომელმაც განაცხადა, რომ ამნაირი ყრილობა პირველია თავისუფალ რუსეთში. შეეხო რა ეროვნებათა გათანასწორებას, მან დაადგინა მისალმოს დროებით მთავრობას. ბოლოს სთქვა: ებრაელებმა უფლება მხოლოდ რუმინეთში და ფინეთში ვერ მოიპოვესო, მაგრამ იმედია, რომ მალე გათანასწორდებიან იქაცაო. შემდეგ კრებამ მოისმინა სხვა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და სწავლულთა საზოგადოებათა მისალმებანი.

მთიელნი.

კავკავი, მაისის 22. (დაგვიანებულია) საოლქო აღმასრულებელ კომიტეტში არჩეულია 26 წევრი, მათგან 11 მთიელი, სამი უცხო ეროვნებისა, 12 ქ. კავკავის და მუშათა დეპუტატების საბჭოს წარმომადგენლები—ჯგუფიდან ოთხ-ოთხი.

ომი და ზავი

დეპეშები

მთავარბანაკის ცნობა.

პეტროგრადი. დასავლეთის, რუმინეთის და კავკასიის ასპარეზებზედ უცვლელადაა.

მფრინავთა მოქმედება. ჩვენმა მფრინავებმა მტრის ზურგს უკან ყუმბარები ჩაჰყარეს. ერთი ჩვენი მფრინავთაგანი ტლუმანთან ჩამოვარდა; მფრინავები სტეპოვი, მოროზოვი და პორუჩიკი ბრძოლაში დაიღუპნენ.

საფრანგეთის ბანაკის ცნობა

პარიზი. მაისის 24. ფრონტის დიდ მანძილზე ღამემ მშვიდათ გაიარა. შმენ-დე-დამში და ლილეტის და ლანსის გზის დასავლეთით საარტილერიო ბრძოლამ მწვავე ხასიათი მიიღო. ნამეტნავად ძლიერი იყო საარტილერიო ბრძოლა ვეკატელიონის აღმოსავლეთით და წისქვილ ლაფოს ჩრდილოეთით. იურტებიზა-ჰერმონის მიმართულებით ძლიერი საარტ. ბრძოლის შემდეგ გერმანელებმა ჩვენს პოზიციებზე იერიშები მოიტანეს, რომლებიც უკუ ვაგდეთ. დანარჩენ ადგილებში ჩვეულებრივი საარტილერიო ბრძოლაა.

მფრინავთა მოქმედება. მაისის 23 ჩვენმა მფრინავებმა მტრის ჰაეროპლანებს ბრძოლა გაუმართეს. ჩამოვაგდეთ მტრის 7 ჰაეროპლანი. როგორც გამოირკვა ფილეშის აღმოსავლეთით ჩვენ მტრის კიდევ ერთი ჰაეროპლანი ჩამოვაგდეთ.

გენერალ ალექსეევის ბრძანება

პეტროგრადი. მაისის 24. გენერალმა ალექსეევმა შემდეგის გამოსამშვიდობებელის ბრძანებით მიჰმართა არმიას. „თითქმის სამი წლის განმავლობაში თქვენთან ერთად ვვლევდი რუსეთის არმიის ეკლიან გზას და ვხიარულებდი თქვენის ლხინით, ვეტანჯებოდი თქვენის ჭირით, მაგრამ მოვდიოდი ღრმა რწმენით, მრწამდა ღვთის სამართალი და დაფარული ძალა რუსის მხედრისა. აი ეხლაც, როცა თითქმის შეირყა რუსეთის სამხედრო ძალა, მე ამ რწმენას მაინც არა ვკარგავ. ურწმუნო სიცოცხლეს სიკვდილი სჯობია. სალამი თქვენ, სამხედრო ამხანაგებო, რომლებიც მედგრად იცავდით და კვლავ დაიცავთ რუსეთის სახელს და დიდებას. მიიღეთ სალამი ძველი ჯარის კაცისაგან, ყოფილ თქვენი სარდლისაგან და ცუდათ ნუ მომიხსენიებთ".

იტალეთი და ალბანეთი

პეტროგრადი, მაისის 24. იტალეთის გარდაწყვეტილება მთელი ალბანეთის დამოუკიდებლობის შესახებ სრულიად მოულოდნელი ამბავი იყო მოკავშირე სახელმწიფოთა დიპლომატიისთვის. რუსეთისა, ინგლისისა და საფრანგეთის ელჩებმა საზოგადო თა-

თბირი გამართეს იტალიის მიერ ასეთი გადადგმულ ნაბიჯის შესაფასებლად. მათთან შეთანხმებით ეს საკითხი უფრო გაფართოვებულ იქმნა. რომის ასეთს გადაწყვეტილებას სავსებით არ დაემორჩილებიან.

გემების დაღუპვა

ლონდონი. მაისის 17. (დაგვიანებულია) ოფიციალი ცნობების თანახმად, მაისის 13-დან ხმელთა შუა ზღვაზე გერმანელთა წყალქვეშამ, ინგლისელთა საავადმყოფო გემი „დოვუკასტელი“ დაღუპა. ავადმყოფი და მედიცინური პერსონალი გადარჩა, დაიღუპა მხოლოდ 6 კაცი. ჩრდილოეთ ზღვაში, გერმანელთა წყალქვეშამ შეიარაღებული სავაჭრო გემი „ხოლორი“ დაჰლუპა; დაიღუპა 5 კაცი. დაიძირა ინგლისელთა კონტრ-ნაღმოსანი; ამბობენ, სხვა გემს დაეჯახაო.

მფრინავთა მოქმედება

რიგა. მაისის 22. რიგის თავზე ჰაერში ბრძოლის დროს, გერმანელმა მფრინავმა სასიკვდილოთ დასჭრა მფრინავი ოსტროვიდოვი, რომელიც ჭრილობის მიუხედავად ჰაეროპლანით სადგომში მშვიდობიანათ დაბრუნდა. ოსტროვიდოვი გარდაიცვალა.

დამმობილების შედეგი

მოგილიოვი. მაისის 23. მოგილიოვში მოიყვანეს 1000 მოწამლული ჯარისკაცი, რომლებისთვისაც დამმობილების დროს გერმანელებს მოწამლული არაყი დაულევინებიათ.

გერმანელთა ხიპლანის დაღუპვა

პარიზი. მაისის 23. ლიზასთან რკინის გზის ლიანდაგზე ჩამოვარდა და დაიწვა გერმანული ხიპლანი. აფეთქებით მოკლულია გერმანელი მფრინავი და ფრანგი რკინის გზის მოსამსახურე. მეორე მფრინავი დაატყვევეთ.

სტოკჰოლმის კონფერენციის გარშემო.

პარიზი. მაისის 23. დეპუტატთა პალატამ, დახურულ სხდომაზე მსჯელობა იქონია სტოკჰოლმის კონფერენციაზე, შემდეგ ღია სხდომაზე გადასვლის 4 ფორმულა გამოაქვეყნა. ერთი კლონცისა და დიუმონისა და სამი სოციალისტების. რიბომ განაცხადა, რომ მთავრობას შეუძლიან მიიღოს მხოლოდ კლოტცის ფორმულაო.

მინისტრი ტომა რუსეთის შესახებ

პეტროგრადი. მაისის 18. (დაგვიანებულია). ფრანგის მინისტრმა ტომამ ჟურნალისტებს უთხრა: მე რუსეთის მდგომარეობას სრულის იმედით ვუყურებო. რუსის არმიამ ფრონტზედ ტომაზე სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა. რუსის არმია გამარჯვების სრულს იმედს იძლევაო,—სთქვა ტომამ.

გაზეთ „ნეიე-ფრეიე-პრესსე“ და ავსტრიის ზავის პირობები.

სტოკჰოლმი. მაისის 17. (დაგვიანებულია). ვენის გაზეთი „ნეიე-ფრეიე-პრესსე“ არჩევს ავსტრიის ზავის პირობებს და ამბობს, რომ ავსტრიისათვის საჭიროა ადრიატის ზღვაზე და დუნაიზე თავისუფალი ნაოსნობა და ამიტომ მისთვის საჭიროა ქალაქ ლოვჩენიო. ალბანეთი, მისი აზრით, უნდა განთავისუფლდეს.

სუხომლინოვის საქმე

პეტროგრადი. მაისის 17. (დაგვიანებულია). იუსტიციის მინისტრმა დროებით მთავრობას სუხომლინოვის შესახებ შემდეგი მოხსენება წარუდგინა: სამხედრო მინისტრობის დროს, როდესაც გერმანეთ-რუსეთის და სხვა სახელმწიფოთა ომი დაიწყო, სუხომლინოვმა სამხედრო მასალის შესაძენად სათანადო ზომები არ მიიღო, თუმცა კარგად იცოდა, რომ ჯარი თავის მოვალეობას ღირსეულად მხოლოდ იმ შემთხვევაში შეასრულებდა, თუ სამხედრო მასალით უზრუნველყოფილი იქნებოდა. ამის გამო ის უნდა მიეცეს სისხლის სასამართლოს დებულების 108 მუხლის ძალით. 1) შეიარაღებული ჯარი უთვალყუროდ დასტოვა, რამაც ჯარის დაქვეითება გამოიწვია. 2) ყოფილ იმპერატორს ჯარის შეფერხების შესახებ ყალბი განმარტება წარუდგინა და ზოგი რამ დამალა, რამაც ხელი შეუწყო ჯარის დამარცხებას. ეს მან ჩაიდინა პირადი ინტერესების გულისთვის. საქმე შეეხებოდა ჯარის შეიარაღებას ზნეიდერის სისტემის სამთო ზარბაზნებით. 3) 1915 წლის თებერვლის 10 სამინისტროთა საბჭომ მოისურვა კერძო თოფხანის მოწყობა; ამ თოფხანისათვის 3 მილიონი თოფი უნდა შეეკვეთნათ. სუხომლინოვმა თავისი სურვილით ამ ქარხნის გამგეობა „რუსეთის სააქციონერო საარტილერიო საზოგადოების“ გამგეს გალინსკის ჩააბარა. 4) 1911 წლის სექტემბრიდან 1912 წლის აპრილამდე, პოლკოვნიკ სუხომლინოვს გადასცა სახელმწიფო საყურადღებო ცნობები, თუმცა კარგად იცოდა, რომ მიასოედოვი გერმანეთის აგენტი იყო! ეს ცნობები შეეხებოდენ რუსეთის სამხედრო მდგომარეობას და უცხო სახელმწიფოს ისინი ხელში არ უნდა ჩავარდნოდა. 5) 1909 წ. მარტის 11 1915 წ. მარტის ბოლომდე ავსტრო-უნგრეთის ქვეშევრდომს ალტშილერს, რომელიც დაქირავებული სამხედრო აგენტი იყო ავსტრო-უნგრეთის მთავრობისა, ყოველგვარ ცნობებს აძლევდა და სამხედრო საკითხებისას და რუსეთის შინაგან სამხედრო საიდუმლოებას ფარდას ჰხდიდა. 6) როცა რუსეთს გერმანეთმა ომი გამოუცხადა, სუხომლინოვმა პოლკოვნიკ მიასოედოვს წერილი მისცა, სადაც იგი ამბობდა, რომ მე წინააღმდეგი არა ვარ, რომ იგი სამხედრო სამსახურში იქნეს მიღებულიო. ამით მან ხელი შეუწყო მიასოედოვს, რომ მას მტრისათვის რუსეთის ჯარის შესახებ ცნობები მიეცა. 7) 1914 წლის აგვისტოში ნიკოლოზ გოშკევიჩს და ვასილ დუმბაძეს, რომელნიც სამხედრო უწყებაში არ მსახურებდენ, გადასცა ცნობები რუსეთის ჯარის დაჯგუფებისა და მობილიზაციის შესახებ და სხვ. 8) 1912 წ. მაისის 21-ს, ყოფილ იმპერატორს ერთი მოხსენება მიართვა. ამ მოხსენებაში განზრახ ცრუ ამბები მოათავსა, ვითომც მიასოედოვს სამხედრო საიდუმლო მიწერ-მოწერაში და სამხედრო კონტრ-ზვერაში ხელი არ ერია და საერთოდ რამე სამხედრო საზვერი საქმე მას ჩაბარებული არა ჰქონდა. ეკატერინე სუხომლინოვისას კი ის ბრალდება, რომ იგი სუხომლინოვს მიასოედოვი და ალტშილერის დაახლოვებას ხელს უწყობდა და ამით დანაშაულის ჩადენას უადვილებდა.

კრონშტადტის ამბები

კრონშტადტის საშინაო მდგომარეობა.

პეტროგრადი, (სწრაფი) მაისის 23. დროებითმა მთავრობამ სცნო რა ქ. კრონშტადტის მდგომარეობა სახიფათოდ,—დაადგინა ეთხოვოს ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრებს—წერეთელს და სკობელევს—რათა გაიგზავნენ ქალაქს დასათვალიერებლად, ადგილობრივ თვითმართველობის, და სამართლიანობის გამოსარკვევად. წერეთელი და სკობელევი კრონშტადტისაკენ დღესვე გაემგზავრნენ.

ინციდენტის დასრულება.

პეტროგრადი, მაისის 24. დროებით მთავრობის 24 მაისის სხდომაზე განაცხადეს, რომ კრონშტადტის ინციდენტი დასრულებულად უნდა ჩაითვალოსო. მინ. წერეთელმა და სკობელევმა დაწვრილებით ასწერეს, თუ როგორის ძმურის განწყობილებით შეჰხვდნენ მათ კრონშტადტელები. მინისტრები მისვლისათანავე გამოელაპარაკნენ კრონშტადტის აღმასრულებელს კომიტეტს და კატეგორიულად მოითხოვეს სწორი და განსაზღვრული პასუხი შეკითხვაზე, ჰსურს თუ არა კრონშტადტს დაემორჩილოს დროებითს მთავრობას, ან რა განზრახვა აქვს. მოლაპარაკების შემდეგ გამოტანილი იქმნა რეზოლიუცია, რომელითაც კრონშტადტელები სცნობენ დროებითს მთავრობას. ესეთი განცხადება არ ჰგულისხმობს, რომ მათ შეუძლებლად მიაჩნდეთ მთელი მართვა-გამგეობა მუშათა და ჯარისკაცთა ხელში გადავიდეს. დაპატიმრებულ აფიცერთა შესახებ განაცხადეს: საჭიროა, გამომძიებელ კამისიის თანამშრომლობა, რათა დამნაშავენი გადაიყვანონ პეტროგრადში, რომ მათი საქმე გამოიკვლიონო. დასასრულ, რეზოლიუცია უარჰყოფს იმ ამბებს, თითქოს დაპატიმრებულს აფიცრებს მეტად სასტიკად ეპყრობოდნენ.

რუსეთი და უცხოეთი

რუსული მართლწერის რეფორმა.

პეტროგრადი, მაისის 18. სახალხო განათლების მინისტრმა მანუილოვმა წინადადება მისცა სამოსწავლო ოლქების მზრუნველთ ყოველი ზომა მიიღონ რუსულ მართლწერაში დაახლოვებით შემდეგი რეფორმა მოახდინონ: მოსპობილია ѣ, е და i. ყოველ სქესის ზედშესრულნი სახელობით და ვნებით ბრუნვებში, მრავლობით რიცხვში, ბოლოვდებიან е-ზე. ნათესაობითი ბრუნვა მხოლობით რიცხვში ზედშესრული სახელი ბოლოვდება ого ზე და его-ზე, ძველს аго და яго-ს ნაცვლად.

სკოლის რეფორმა.

პეტროგრადი, მაისის 23. სახალხო განათლების სამინისტროში დაარსდა სახალხო სწავლა-განათლების საგანგებო სახელმწიფო კომიტეტი, რომელსაც სკოლის რეფორმის საქმე ევალება.

ყაჩაღთა ბრბოს შეპყრობა.

რიაზანი, მაისის 23. შეიპყრეს ყაჩაღთა ბრბო, რომელიც გუბერნიაში ყაჩაღობდა. ბრბო სოფ. კირიცაში დაიჭირეს და ერთი ყაჩაღთაგანი ბრბომ გასწყვა.

გაუპატიურება.

ადესა, მაისის 23. ამას წინათ ორმა უცნობმა ახალგაზრდა ქალები გააუპატიურეს. ერთი დამნაშავეთაგანი შეიპყრეს.

ლინჩის სამართალი.

ევპატორია, მაისის 23. ბრბომ ლინჩის სამართლით დასაჯა რამდენიმე პირი, რომლებსაც ქურდობასა და ძალადობას აბრალებდნენ.

ბეილისის საქმის გამო.

კიევი, მაისის 24. სასამართლოს გამომძიებელმა ჩვენება ჩამოართვა იმ პირებს, რომელნიც ბეილისის პროცესში მონაწილეობდნენ.

ეკლესიის გაძარცვა.

სუზდალი. მაისის 16. (დაგვიანებულია) გასცარცვეს ქალაქის ერთი ეკლესია, წაიღეს ნივთეულობა.

უკანასკნელი დეპეშები

კრონშტადტის მცხოვრებლებმა აკრძალეს ბურჟუაზიული გაზეთების შეზიდვა კრონშტადტში.

—

ყოფილ ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრ კონოვალოვის ამხანაგებმა და თანამგრძნობებმა სამინისტროში სამსახურს თავი დაანებეს.

—

ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრად მანუილოვს ასახელებენ.

—

მოსკოვის ვაჭრობა-მრეწველობის ყრილობაზე მუშებმა განაცხადეს, ჩვენი მოთხოვნილება მეტის მეტი არ არისო.—„თუ ბურჟუაზიული კლასი კონტრ-რევოლიუციის დაწყებას შეეცდება, მაშინ ჩვენ მას მოვსპობთ ისე, როგორც ნიკოლოზი მოვსპეთო.

—

გუჩკოვმა სთქვა: წითელი დროშა დღევანდელ რევოლიუციონერებს ტალახში ჩაუვარდებათ. მაშინ ბურჟუაზიული კლასი აიღებს, მაღლა ასწევს ისე, როგორც ეს წითელ დროშას შეშვენისო.

—

გამოირკვა, რომ მუშები დროებით გადიან სამხედრო მრეწველობიდან.

ქრონიკა

კავკასია

◆ **პეტროგრადის უნივერსიტეტის** გამგეობას დაუდგენია, დაუბრკოლებლად მიიღონ რუსეთის უნივერსიტეტში ის პირნი, რომელნიც დაასრულებენ სომეხთა საეპარქიო სემინარიებსა და ეჩმიაძინის სასულიერო აკადემიას. ეს დადგენილება გამოუტანიათ პროფესორ მარის წინადადებით.

◆ **რუს სამღვდელოების კრება.** მაისის 25-ს, თბილისში, რეალურ სასწავლებლის შენობაში, დაიწყო ამიერ კავკასიის რუს სამღვდელოების დელეგატთა ყრილობა. არჩეულ იქნა პრეზიდიუმი კრებისა: თავმჯდომარედ ბაქოს ეპისკოპოზი გრიგორი, თავმჯდომარის ამხანაგებად—მ. ნ. ვინოგრადოვი, ნ. ზ. პოლიტოვი, დეკანოზი იუნიცკი და დეკ. ბელოვიდოვი.

◆ **არჩევნები ბაქოში.** ბაქოში სასურსათო არჩევნებში 1, 2, 3, 4 და 5 უბნებში მაჰმადიანთა ბლოკმა გაიმარჯვა, სხვა უბნებში კი სოციალისტებმა გაიმარჯვებს.

◆ **მუშათა და გლეხთა დელეგატების ყრილობაზე** თბილისში ჯერჯერობით განხილულია 205 მანდატი, რომელთა შორის 117 მუშაა და 88 გლეხი. განსახილველია კიდევ 30-მდე მანდატი. მუშების დელეგატები წარმოადგენენ კავკასიის ყველა კუთხეს, გლეხები კი ასე ნაწილდებიან: თბილისის გუბერნიიდან 55 კაცი, ქუთაისის გუბერნიიდან 28, ყარსის ოლქიდან 3, განჯის გუბერნიიდან 1 და სოხუმის ოლქიდან 1 დელეგატი. ჩრდილო კავკასიიდან 1 დელეგატიც არ არის გლეხობისაგან.

საქართველო

◆ **ქართველი მაჰმადიანები ციმბირში.** ქართველ გადასახლებულ მაჰმადიანების მდგომარეობა ციმბირში რევოლიუციის პირველ დღეებში აუტანელი იყო. ყველა მათგანის საქმეზე შემდეგი წარწერა იყო:—ბრალად ედება ჯაშუშობა და პროპაგანდა ოსმალეთის სასარგებლოდ“. ერთ ხანს ციმბირის ადმინისტრაცია ჰფიქრობდა განთავისუფლებას, მაგრამ პროფესორ ტელბერგის მოსვლის შემდეგ არამც თუ განთავისუფლეს, არამედ მათი მდგომარეობა უფრო გააუარესეს და ციხეებში ჩაამწყვდიეს. ამის გამო ტომსკის ქართველმა სტუდენტობამ კრება მოიწვია. კრებაზე მრავალი მოხსენებანი იქნა წაკითხული, სადაც მრავალი საბუთები იყო მოყვანილი მათი უდანაშაულობის შესახებ. თანვე კრებამ გულისწყრომა გამოუცხადა პროფ. ტელბერგს. კრების შემდეგ მოწვეულ იქმნა ქართველ მაჰმადიანების შესახებ იურიდიული კომისია, რომელმაც აჭარლები უდანაშაულოდ იცნო და გაანთავისუფლა. ამის შემდეგ კერენსკის და ჩხეიძეს შემდეგი დეპეშები გაეგზავნათ:—ადმინისტრატიული წესით გადასახლებული მაჰმადიანი ქართველობა, რომელსაც ოსმალეთის სასარგებლოდ პროპაგანდა ჰბრალდებოდათ, თხოულობენ რიაბილიტაციას და სამშობლოში დაბრუნებას“. მაშინდელ იუსტიციის მინისტრ კერენსკისაგან საჩქაროთ დამაკმაყოფილებელი დადებითი პასუხი მიიღეს მე-3316-ე ნომრით.

◆ **მაზრის კომისარების მოხსენება.** მაისის 25-ს სხდომა ჰქონდა თბილისის აღმასრულებელ კომიტეტს. სხდომას დაესწრნენ მაზრის კომისარები. ამ უკანასკნელებმა კრებას მოახსენეს, რომ სოფლად ყველგან მშვიდობაა, ყაჩაღობა და ძარცვა-გლეჯა შემცირდა, გლეხები სიხარულით მიეგებნენ რევოლიუციას, მაგრამ რევოლიუციის შედეგს მოუთმენლად მოელიან, როგორც, მაგალითად, მიწას, გზების გაყვანას, სკოლას, საავადმყოფოს და სხ. სოფლად მცირე ინტელიგენტური ძალაა და ზოგან სრულებითაც არა, რაიცა დიდად ხელს უშლის საქმესო. გაგრძელება თათბირისა გადაიდვა.

◆ **„საფირონში“** იბეჭდება კიკნაფშაველას უკანასკნელი პოემა „ქამის ზღაპარი“.

◆ **ცნობანი პროკაციის შესახებ.** ა. ჩხენკელს დეპეშით ატყობინებს ბათომის კომისარი კრინიცკი: რიზედან ჩამოვიდნენ რწმუნებულები, რომელთაც გადმოგვცეს, რომ პროვოკატორები არ სცხრებიან, მოსალოდნელია ახალი ექსცესები, დაუყონებლივ საჭიროა შესაფერისი ღონისძიებანი.

◆ **ფრესკების გადაღება.** ქალაქის გამგეობის მინდობილობით სამუნიციპალო მუზეუმისათვის, მხატვარმა შევარდნიძემ გადაიღო მცხეთის სობოროს კედლიდან ფრესკი, რომელზედაც დახატულია ვახტანგ გორგასლანი და საქართველოს პირველი მიტროპოლიტი პეტრე.

თბილისი.

◆ **ხახაბლის გამგეთ** თბილისის აღმასრულებელმა კომიტეტმა დანიშნა დ. ი. ბაქრაძე.

◆ **ქალაქის არჩევნებში „დენშჩიკებსაც“** შეუძლიანთ მონაწილეობის მიღება. ამის გამო საარჩევნო კომიტეტის ბიურომ სთხოვა თბილისის კომენდანტს, რომ 28 მაისამდე საარჩევნო სიებში შეიტანოს თბილისში მცხოვრები „დენშჩიკები“. სიებში შეტანილი არ უნდა იქმნან შემთხვევით ფრონტიდან ანუ რომელიმე სხვა ქალაქიდან ჩამოსულები.

◆ **სახელმწიფო თეატრი.** ოთხშაბათს, მაისს 31, 1917 წელს, კოტე ფოცხვერაშვილის მეთაურობით და მონაწილეობით გაიმართება პირველად თბილისში სამეცნიერო და საგანმანათლებლო მიზნით დიდი ეთნოგრაფიული სამუსიკო საღამო.

◆ **მცხოვრებთა აღწერის დროს,** რაიცა უნდა მოხდეს თბილისში ამა თვის 28, 29 და 30-ს, მილიციის უფროსის განკარგულებით, მილიციონერები ვალდებული არიან ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ აღმწერლებს. ეს უკანასკნელნი ვალდებული არიან თან ჰქონდესთ შესაფერისი ბარათი; ვისაც ასეთი ბარათი არ ექნება, იგი სახლში არ უნდა შეუშვან.

◆ **საქალაქო არჩევნების გამო.** არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ: უმაღლესი ადმინისტრატორები, მილიციონერები, ბერები და სასამართლოს გადაწყვეტილებით ღირსება აყრილნი.

◆ **საყურადღებო მოხსენება.** დღეს, მაისის 28-ს, კავკასიის მუზეუმში, საღამოს 8 საათზე გაიმართება კრება, მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოების თბილისის განყოფილებისა. სტეფანე ვრუკოვსკი წაიკითხავს მოხსენებას: „პალეოლიტიკური კაცი გვარჯილას კლდეში“, შესვლა უფასოა.

◆ **პასპორტების მიცემის წესი.** აქამდისინ პასპორტების მისაღებად თბილისის მცხოვრებნი მილიციის უფროსს მიმართავდნენ ხოლმე თხოვნით. ამის შემდეგ მცხოვრებმა თავისი უბნის კომისარს უნდა მიმართოს თხოვნით, რომელიც შესაფერის ცნობებს წააწერს თხოვნას და მილიციის უფროსს წარუდგენს.

ბათომი.

◆ **აღმასრულებელ კომიტეტის სხდომა.** ბათომის აღმ. კომიტეტის სხდომაზე ილაპარაკა კომისარმა აკაკი ჩხენკელმა. მისი სიტყვით მდგომარეობა ოსმალოს დაპყრობილ ქალაქებში გართულებულია. ჯარი მცხოვრებლებს მტრულად უყურებს, პროვოკაცია დღითი დღე ფეხს იკიდებს. შავი ძალები მხნედ მუშაობენ და მათი წყალობით შეტაკებანიც იყო. არდანუჯში სომხებსა და მაჰმადიანთა შორის დამოკიდებულება გამწვავებულია. სომხებს ჰსურდათ აღმ. კომიტეტში უმთავრესად სომხები დაენიშნათ. დეპუტატი ჩხენკელი მოუწოდებდა ეროვნული შუღლის უკუგდებას, ღონისძიებაა მიღებული შესაძლებელ ექსცესების მომავალში თავიდან ასაშორებლად.

ეროვნულ დემოკრატიულ პარტიაში

ინციდენტი ხაშურში.

მაისის 21, ხაშურში ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარ კომიტეტის წარმომადგენელთა თანადასწრებით დანიშნული იყო სარაიონო ორგანიზაციის წევრთა და თანამგრძნობთა საერთო კრება. 12 საათზე, ზემო-ქალის სკოლაში საკმაოდ მოგროვდა საზოგადოება და კრება ბ-ნმა გ. იოსელიანმა დაიწყო. იგი მიესალმა დამსწრეთ და აღნიშნა დღევანდელი მომენტის მნიშვნელობა, რომელიც ეროვნულ იდეის გარშემო დახმარებას ითხოვს. თფილისიდან ჩამოსულ კომიტეტის წარმომადგენლებს კი დამსწრეთათვის უნდა განემარტათ პარტიის პროგრამა. კრების დაწყებიდანვე გარეთ საკვირველი ჩოჩქოლი იყო, ვიღაც საეჭვო პირნი არწმუნებდნენ რამდენიმე ადგილობრივ მცხოვრებთ კრება ჩაეშალოთო. ორატორის სიტყვის დროს დარბაზში შემოიჭრნენ ვ. ტოფჩიაშვილი, ე. კახნიშვილი, ვ. ცაგანაშვილი და ათიოდე სხვა უცნობი პირნი და მოითხოვეს დაუყონებლივ კრების შეწყვეტა, რადგან მათის სიტყვით სკოლის შენობა მათ ეკუთვნისთ და „ამ პარტიას არ აძლევენ“. კრების მომწყობებმა აუხსნეს მათ, რომ ნებართვა აღებული აქვთ სკოლის გამგისგან და სთხოვეს დამშვიდებულიყვნენ. როგორც იქმნა დააშოშმინეს, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ისინი კვლავ დაბრუნდნენ უკვე მილიციონერ ძინძიბაძის თანხლებით, რომელმაც განაცხადა, რომ მე მუშათა საბჭოს მიერ ვარ გამოგზავნილი და კრების დაუყოვნებლივ დაშლას მოვითხოვო. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნები ძალას მივმართოვო. კომიტეტის წარმომადგენლებმა, რათა მდგომარეობა არ გაემწვავებიათ და უსიამოვნება თავიდან აეცდინათ, კრება დაშალეს და მომხდარ ინციდენტის შესახებ მუშათა და ჯარის კაცთა ადგილობრივ საბჭოში დასაბუთებული პროტესტი შეიტანეს, აღნიშნეს ის სამწუხარო ფაქტი და მოითხოვეს მოქალაქობრივ და პარტიულ მოქმედების თავისუფლების წინააღმდეგ მებრძოლთა კანონიერი დასჯა. აღსანიშნავია, რომ აქვე მყოფი ჯარის კაცთა და მუშათა საბჭოს წევრი ქართველი პრაპორჩიკი არავითარ ზომებს არ იღებდა მოძალადეთა წინააღმდეგ და განზედ გამდგარი სეირს უცქეროდა.

№.

—

დ. ჭიათურა.

მაისის 14-ს, დ. ჭიათურაში გაიმართა ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის წევრთა და თანამოაზრეთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრნენ მთავარ კომიტეტის წარმომადგენლნი ბ-ნი იოსებ მაჭავარიანი, ლელი ჯაფარიძე და ქუთაისიდან მოწვეულნი. კრებაზედ დასწრების ნებართვა სხვა პარტიის წევრებმაც ითხოვეს და რადგან კრებას დამფუძნებელი ხასიათი ჰქონდა და მხოლოდ საპროგრამო საკითხები უნდა გარკვეულიყო, ადგილობრივმა კომიტეტმა შესაძლებლად სცნო მათი კრებაზე დაშვება. ნაშუადღევის 12 საათზედ მრავალრიცხოვანი კრება ბ. ა. პაპავამ დაიწყო. პირველი სიტყვა წარმოსთქვა ბ. ტ. მარგველაშვილმა. მან განმარტა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ვაჭრობა-მრეწველობას ერის ზრდა-განვითარებაში, როგორ ჰქმნის იგი მატერიალურსა და კულტურულ ძალას. საილუსტრაციოდ ინგლისის, საფრანგეთის, გერმანეთის და სხვა ევროპის სახელმწიფოების მაგალითები მოიყვანა. ორატორმა აღნიშნა ქართული ეროვნული დოვლათის თანდათანობით ზრდა, საერთოთ მეურნეობის განვითარების აუცილებლობა და დასძინა: გლეხკაცობას ხელი უნდა შევუწყოთ საწარმოვო იარაღების შეძენაში შრომის განაყოფიერებისათვის. მის შემდეგ ბ-ნმა ლელი ჯაფარიძემ დაახასიათა დღევანდელი მომენტის მნიშვნელობა ეროვნული თვალსაზრისით, განმარტა ეროვნულ დემოკრატიული პარტიის პროგრამის პოლიტიკური ნაწილი და ახსნა ზოგადი პრინციპები მომავალ საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა საქართველოს თავისუფლების მოსაპოვებლად, რაიცა ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიაში უნდა გამოიხატოს. ორატორმა აუცილებლად მიიჩნია ყველა მომქმედ პარტიათა შეთანხმება.

ბ-მა ტრიფონ ჯაფარიძემ მდაბიო და გასაგები ენით ისაუბრა სოციალიზმისა და კერძო საკუთრების შესახებ და აღნიშნა, რომ ადამიანის ბუნებაშია მისწრაფება კერძო საკუთრებისადმი და ამიტომ მის სავსებით უარყოფას კი არ უნდა მოვითხოვდეთ, არამედ მისი უარყოფითი მხარეების მოსპობასა. უკანასკნელად ილაპარაკა იოსებ მაჭავარიანმა, რომელმაც დაასკვნა ყველა ორატორების სიტყვები და აღნიშნა თუ რისთვის მოითხოვს ერ.-დემოკრ. პარტია ავტონომიას თავის ისტორიულ საზღვრებში. სამარცხვინოა—სთქვა ორატორმა—რომ ილიასა და აკაკის მშობელი ერი არ იყოს თავისუფალიო. ჩვენ ეხლა მსოფლიოს წინაშე წარვსდგებით და უნდა დავამტკიცოთ, რომ მზად ვართ ამ თავისუფლების მისაღებათო.

ხალხით გაჭედილი თეატრი ყურადღებით უსმენდა ორატორებს და ხანგრძლივი ტაშით აჯილდოვებდა მათ.

ქართველ ქალთა საზოგადოების მეხუთე უბნის სარაიონო განყოფილება

ქართველ ქალთა საზოგადოებას მიზნად აქვს კულტურულად მოამზადოს და განავითაროს ქართველი ქალი. აი ამ მიზნით მე-5 უბნის (ხარფუხის) სარაიონო განყოფილება მაისის 7-ს დაარსდა. კრება იყო. დაესწრნენ ზემო აღნიშნულ საზოგადოების წარმომადგენელნი: ა. ახალშენიშვილი და ნ. რცხილაძე. სასიამოვნო სანახავი იყო თუ რა სულით და გულით მიეგებნენ ქალები და კაცები ამ ფრიად სასარგებლო საქმეს. თუმცა ბევრი მოწინააღმდეგე გამოჩნდა, მაგრამ მაინც თავისი გაიტანეს და საქმე არ ჩააშლევინეს. აირჩიეს გამგეობის წევრები და შეუდგნენ მუშაობას.

მაისის 16 საზოგადოების მიერ უკვე საღამო გაიმართა. მეტად კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ამ საღამომ. ხალხი აუარებელი მოაწყდა. საღამო დაიწყო მარსელიოზის სიმღერით, რომელიც შეასრულა მაისურაძის გუნდმა; შემდეგ მოხსენება. ქალთა საკითხზე წაიკითხა ა. ახალშენიშვილმა შემდეგ თემაზე: ქალი უძველეს დროში, ძველ და ეხლანდელ დროში“. მომხსენებელმა ასე დაიწყო: მე არ შევეხები ჯერჯერობით ევროპიელ ქალს, ასე შორს არ წავალ, მე გესაუბრებით იმ ქალებზე, რომელნიც უფრო ახლო დგანან თქვენთან და შეადგენენ თქვენ სისხლსა და ხორცს, ე. ი. ქართველ ქალზე, რომელსაც დიდი ალაგი ეკავა ისტორიულად ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებაში. მკაფიოდ და გარკვევით დაგვისურათა ქალის ცხოვრება, ეტყობოდა მომხსენებელს დაკვირვებით შეემუშავებინა მოხსენება. დასასრულ, ახსნა მნიშვნელობა ორგანიზაციებისა. საჭიროა გაგრძელებაც წაგვეკითხოს, რადგან მეტად სასარგებლო იქნება ჩვენთვის. შემდეგ მოჰყვა ორი ვოდევილი, სიმღერები, ლექსები და კუპლეტები. ყველა ეს ნიჭიერად და მოხდენილად შეასრულეს: ბ.ბ. ჭიჭინაძემ, ჟორდანიამ, შარაშენიძემ და სხ. საღამო 12 ს. დასრულდა.

მასალები მიწის საკითხისათვის

ზოგადი ცნობანი.

თუ რამდენად მართალია გლეხების ძახილი: მიწა, მიწა მოგვეცით, მაშინ ძმად შეგეფიცებითო, დავინახავთ შემდეგში. ეს ჩემი მასალები მიწის საკითხის შესახებ შეეხება მხოლოდ თბილისის გუბერნიას, განსაკუთრებით ქართლ-კახეთს. ახალ-ქალაქისა და ახალციხის მაზრების მემამულეების შესახებ არავითარი ცნობები არ მომეპოვება და ამის გამო მათზედ ვერას ვიტყვი.

მთელი თბილისის გუბერნია შეიცავს 35.904,$_4$ კვ. ვერსსა ანუ 3.743,000 დესეტინას და მათზედ მცხოვრები 1.410,056 სული ითვლება. ეროვნების მხრივ განიყოფებიან ასე: ქართველები ითვლება 400,579, სომხები—168,051, თათრები—106,599, ოსები—71,839, ბერძნები—34,450, რუსები—29,639

და დანარჩენი სხვა ერებიც 9,287 სული იქნება.

თბილისის გუბერნია განიყოფება ცხრა მაზრად და მაზრების შესახებ ოფიციალური ცნობები აი რას გვეუბნებიან:

1. ახალქალაქისა	250,930 დ.	99,725 ს.
2. ახალციხისა	243,110 დ.	92,526 ს.
3. ბორჩალოსი	629,350 დ.	163,925 ს.
4. დუშეთისა	355,600 დ.	71,470 ს.
5. გორისა	626,280. დ.	226,472 ს.
6. სიღნაღისა	552,000 დ.	169,944 ს.
7. თელავისა	225,400 დ.	70,811 ს.
8. თიანეთისა	443,070 დ.	44,510 ს.
9. თბილისისა	417,450 დ.	398,950 ს.[1]

მაშასადამე, თბილისის გუბერნიაში ქართველები მოსახლეობენ ერთი მესამედი მთელ გუბერნიის მცხოვრებლებისა.

რა გვარად მოსახლეობენ მცხოვრებლები.

ეს შეეხება მხოლოდ გორის მაზრას და ეს ჩემი გამოკვლევანი ემყარება მიწის გამიჯვნის საკრებულოს ცნობებს. გორის მაზრის ყველა სოფლის სივრცე და მცხოვრებლები მაქვს აღებული და რადგან სოფლების ჩამოწერა შორს წაგვიყვანს, ისევ სოფლის საზოგადოებებზედ მაქვს გაანგარიშებული, თითო კომლზედ რამდენი დესეტინა მოდის ერთი ერთმანეთზედ ავი და კარგი. აი ეს ცნობებიც:

1. **სამაჩაბლო მამულში შედის სამი საზოგადოება:** როკის საზოგადოება—508 კომ., ჯავისა—807 კომ., და ცხინვალისა (გარდა დაბა ცხინვალისა და სოფ. გუჯაბაურისა)—634 კომ. ამ საზოგადოებების 1949 კომლს უკავია 69,000 დესეტინა.[2] ცხინვალს—474 ქ. და გუჯაბაურს—30 კომლი, რომელსაც უკავია 607 დ. 1200 დ., მაშასადამე, ცხინვალელებს და გუჯაბაურელებს თითო კომლს მოსდის $1^1/_5$ დ.

	კომლი	დესეტინა		ორთა შუა რიცხვი
2. არკნეთის საზოგადოებაში	1203	14,369	880 ქ. ს.	12 დეს.[3]
3. ოქონის საზოგადოება	1084	28,327	490 „	26 „
4. მოსისის საზოგადოება	992	11,479		$11^1/_2$ „
5. ალის საზოგადოება	990	15,203	490 „	$15^1/_3$ „[4]
6. ოსიაურისა — —	538	5,000	410 „	9 „[5]
7. ხაშურისა— — —	950	2026		2 „
8. სურამისა — —	1014	5273	1500 „	5 „
9. ქვიშხეთისა	768	11,835	1200 „	$15^1/_2$ „
10. დირბისა	709	9508	1250 „	$13^1/_2$ „

11. **ბორჯომის საზოგადოება** და ნაწილი ბაკურიანისა შედის ბორჯომის მამულში, რომელიც შეიცავს—69,881 დ. 2010 კ. ს. ამ საზოგადოებიდან ერთი სოფელი რველი 1055 დ. 2290 კ. ს. განსაკუთრებით მამულს წარმოადგენს და ეკუთვნის თ-დ თაქთაქიშვილებს, ამ მამულში ცხოვრობენ 30 კომლი მოიჯარადრე გლეხი, რვა მონაწილე ფლობელობს, 100 დეს. სახნავია, დანარჩენი ტყეს უჭირავს.

ბორჯომის მამულში კი 1473 კომლი მოსახლეობს.

12. საციციანო მამულს შეადგენს თომა ციციშვილისეული მამული ერთად 84382 დ. 1200 კ. ს. ამ მამულში შედის საზოგადოებანი: ხწისისა—1043 ქ., ქარელისა გარდა სოფ. (სკრა, ბეთლემი და კოშკები—103 კომლი) 893 კომ., ზღუდებისა—477 კომლი და ნაწილი ბაკურიანისა,—რომელიც შეადგენს—158 ქ., ამათ გარდა ხიდისთავის საზოგადოებიდან შედის სამი სოფელი—გარდატენი—45 ქ. თავხეობა და ტუსხებიც—41 კომლი.

მაშასადამე, საციციანო მამულში მოსახლეობენ—2657 კომლი.

13. **სკრას, ბეთლემს და კოშკებს,**—103 კომლი მცხოვრებია, უკავია—3206 დ. 2340 კ. ს.

	კომლი	დესეტინა		ორთა შუა რიც.
14. ხიდისთავის საზოგადოება	1014 კომ.	12,740	700 კ. ს.[6]	
15. ახალსოფლის საზოგ.	342 „	27,251		
16. დოესის საზოგადოება	770 „	$7,231^1/_2$		10 დ.
17. მეტეხის საზოგადოება	1011 „	$4,913^1/_2$		$4^1/_2$ „[7]
18. კავთისხევისა	977 „	$11,029^1/_2$		11 „[8]
19. ახალქალაქისა	1062 „	$17,375^1/_2$		$16^1/_2$ „
20. ქვემო ნიჩბისისა	651 „	9,981	2080 „	16 „
21. კასპისა	512 „	10,107	1120 „	20 „
22. ქვემოჭალისა	1985 „[9]	19,178	1320 „	10 „
23. ხელთუბნისა	1259 „	20,295	2000 „	16 „
24. მეჯვრისხევისა	1655 „	18,976	260 „	$11^1/_2$ „
25. ტყვიავისა	1358 „	16,044	430 „	12 „
26. დულისა	716 „	8,455	2010 „	$13^1/_2$ „
27. ვანათის საზოგ.	870 „	41,548	2000 „	—[10]
28. შინდისისა	914 „	11,716	950 „	$12^3/_4$ „
29. რუისისა	755 „	7,934	1200 „	$10^1/_2$ „
30. გორი	— „	2,122	1930 „	— „

ჯამი. . . . — კომ.—607,479 დეს.

ამ ზემოხსენებულ სოფლის საზოგადოების სივრცის გარდა გორის მაზრაში განსაკუთრებული ნაჭრებია, რომელიც შეადგენს 25,863 დ. 1840 კ. ს. მაშასადამე, მთელი გორის მაზრა ამ ციფრების მიხედვით შეადგენს—633,343 დეს., ოფიციალური ცნობები კი გორის მაზრის უდრის, როგორც ზევით მოვიხსენე—626,280 დეს. და თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ქვემო-ჭალის საზოგადოებაში დუშეთის მაზრიდან ზახორის საზოგადოებისა შემოდის თითქმის 7,000 დეს., მაშინ გორის მაზრის სივრცე გამოდის სწორე.

Legatus.

---

[1] ამაში ქალაქისა ირიცხება 306,814 სული.

[2] სამაჩაბლოში შეტანილ ტყეს, კლდეს და ღრეს უვლი, აგრეთვე საძოვრებს და სათიბებს.

[3] აქ ტყე 15000 დესეტინას უჭირავს.

[4] ალის საზოგადოებაში საამირეჯიბო ტყეს მეტი წილი უკავია, თვითონ ალელებს კომლზედ მოსდით—$3^1/_2$ დ.

[5] ოსიარის საზოგადოებაში მეტი წილი თ-დ ვეზირიშვილებს უჭირავთ და სათიბებია, ასე რომ თითო კომლს ეჭირება არა ნაკლებ 5 დეს.

[6] ამ საზოგადოებაში შედის კიდევ ატენის ხეობის მამული—15,835 დ. 230 კ. ს.

[7] მეტეხის საზოგადოებაში შედის კიდევ მამული „სათუხარლო“ 1,453 დეს.

[8] ამ საზოგადოებაში კავთისხევის მონასტრის ტყე უდრის—4,218 დეს. 1,600 კ. ს.

[9] ზახორის საზოგადოებიდან ემატება—563 კომლი.

[10] ვანთიის საზოგადოებაში პატარა ლიახვის ხეობაზედ ადგილ-მდებარეობა წარმოადგენს მთაგორიან კლდე-ღრეს და მომეტებული წილი სამოვაოს წარმოადგენს და უვარგისს მამულსა.

კორესპონდენცია

სოფლის გასაჭირი

ხოფ. დისევი. სრული ერთი თვეა, რაც განუწყვეტელი წვიმა და ქუხილია. უხეირო დარმა, ხალხი საფიქრებელში ჩააგდო და ბევრი მათგანი ლამის ულუკმოდ დასტოვოს: სიმინდები გაბალახდა, ბევრს ვენახები დაუჩერკნავები უყრია დღევანდლამდის. ახლომახლო სოფლები კიდევ, როგორც ს. ქსუისი, სათიხარი და სხ. მასთან მეზობელი სოფლები სეტყვამ შესამჩნევად დააზიანა. თუ ღმერთმა გვიბრალა და ეხლა მაინც დარები დაიჭირა, იმედია პურის მოსავალი მაინც კარგი იქნება. ხალხი ძალიან ნაკლებათ არის.

ყველა უბედურებასთან, მთელს მაზრაში საშინლად არის მოდებული საქონლის ჭირი, ისე კომლი არ არის ს. ზემოქერესში, კოშკში და კულბითში, რომ 3-დგან—30-დის სული საქონელი არ დაზარალებოდეს. დანარჩენი მცხოვრებნი, ვისაც ჯერ კიდევ არ შესდგომია ეს სენი, თავის საყვარელ საქონელს მიერეკება დღეობებში და ჰყიდის საარაკო ფასებში. ხარი, რომელიც ამ სამიოდე წლის წინათ ფასობდა 20—30 მან. დღეს 300—500 მან. იყიდება. აგრეთვე ძროხა, რომელიც იყიდებოდა 15—20 მან. დღეს 200—300 მან. იყიდება. ამ გვარი საქციელი გლეხებისა და უპატრონობა, რა თქმა უნდა უფრო განსაცდელში ჩააგდებს ისედაც დაქვეითებულებს. სამჯერ ცხენები გაუგზავნეს გორში ბეითალს მოსაყვანად, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ მოასწრეს სახლში. ყურადღება უნდა მიექცეს ხალხის უბედურებას და ყოველი ზომები უნდა იქმნეს მიღებული.

მ. თ.

აღმასრულებელ კომიტეტის არჩევნები

ზუგდიდი. მაისის 8 და 9 აქაურ აღმასრულებელი კომიტეტის არჩევნები მოხდა. არჩევნები სწარმოებდა სიებით. მეტი ხმა აღმოაჩნდა სოციალ-დემოკრატების სიას და ისინი გავიდენ არჩევნებში. არ შევეხებით იმ უკანონობათ, რომელთაც ჰქონდა ადგილი არჩევნების დროს, მხოლოდ უნდა აღინიშნოს ორი ფაქტი, რომელნიც ოქმშიაც აღნიშნულ იქმნა. ერთი ის, რომ ყუთი ვერ აღმოჩნდა სათანადოდ შენახული, როგორც ოქმი გვიჩვენებს, შესაძლო ყოფილა ყუთიდან კენჭის ამოღება და მისი შეცვლა. ეს იქმნა შენიშნული როცა ყუთის გახსნას შეუდგნენ არჩევნების დამთავრების მეორე დღეს. არ უნდოდათ ყუთის გახსნა, მაგრამ ვინაიდან ამას მოჰყვებოდა საქმის მეტის-მეტი გამწვავება მოწინააღმდეგე პარტიათა შორის და მოქალაქე მსხვერპლი ხდებოდა ამ პარტიულ უთანხმოებისა სოც.-ფედ. ეროვ.-დემოკ. პარტიების მოლაპარაკების შემდეგ გადაწყვეტილ იქმნა როგორმე გვერდი აეხვიათ საკითხის ამნაირი გამწვავებისათვის. ყუთი რომ გახსნეს, მეორე უკანონობასაც წააწყდნენ: აღმოჩნდა ოცდა-ხუთ სიაზე მეტი კენჭი, მიუხედავად ყველა ამისა არჩევნები მაინც კანონიერად ჩასთვალეს და დაადასტურეს. თუმცა მცხოვრებთა მომეტებული ნაწილი უკმაყოფილებას აცხადებს.

მაისის 11 დაიწყო პირველი კრება ამიერ-კავკასიის კომისარიატის უკანასკნელი ინსტრუქციის ძალით არჩეული სამაზრო კომიტეტისა. კრებას მიესალმნენ პარტიათა და პრესის წარმომადგენელნი. ერ.-დ. პარტიის სახელით მიესალმა ლ. ქ. კომიტეტის წევრთა მომეტებული ნაწილი უბრალო სოფლის გლეხობა შეადგენს. ინტელიგენტები ძლიერ ცოტანი არიან.

მეთვალყურე.

მეცხრე ოლქის სამღვდელოების დადგენილება.

ხოფ. კარბი. ახალი განკარგულების თანახმად მეცხრე საკეთილ-მოწესო ოლქმა იქონია კრება ს. კარბში, აარჩიეს საძმო საბჭოს წევრებად მღვდელნი: ალექსანდრე ოქროპირიძე, გიორგი გვიმრაძე და ანდრია ქუჩუკაშვილი. მედავითნეები: მელქისედექ ივანიძე და ვლადიმერ ოქროპირიძე. საბჭოს თავმჯდომარედ ერთხმად იქმნა არჩეული დისევის სამრევლოს მღ. ალექსანდრე ოქროპირიძე. კრებაზედ განხილული იქმნა მედავითნეების მოთხოვნილება ორი მეხუთედის შესახებ. კრებამ ერთხმად დაადგინა: ეს საკითხი დარჩეს სრულიად საქართველოს სამღვდელოების კრებამდის, რაიც მაშინ შეთანხმებისამებრ დაწესდება და გადასწყდება. იქონიეს აგრეთვე სჯა შესახებ თავიანთის უკიდურესის მდგომარეობისა მატერიალურის მხრივ, დაადგინეს ეთხოვოს სრულიად საქართველოს კათალიკოსის მოსაყდრეს ყ-დ სამღვდელო ლეონიდს, იშუამდგომლოს სადაც ჯერ არის, რომ საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიას დაუბრუნდეს წართმეული ქონება და ამ წყაროდან მიეცეს სამღვდელოებას გადაჭრილი ჯამაგირი, მღვდელსა არა ნაკლებ ოცის თუმნისა და მედავითნეს ათისა თვეში და მოსპოს ყოველი სამარცხვინო აღება და დამამცირებელი ხელის გაშვერა. უკეთუ ყოველი საეკლესიო წყარო მოსპობილია, მაშინ დანიშნოს, რაც კი შეიძლება მალე, კომისსია, რომელიც მოვალე იქნება შეადგინოს მორწმუნეთაგან მრევლი, მოაწესრიგოს და გამოარკვიოს კრებულის მდგომარეობა. მრევლი შესდგებოდეს დაფანტულ ადგილებში არა ნაკლებ სამასის კომლისაგან, შექუჩებულში კი ათასისგანაც. დაინიშნოს სასტიკი მეთვალყურე სასულიერო წოდების პირთათვის და შეუფერებელნი დათხოვილ იყვნენ ადგილიდგან და მიენიჭოთ მათ სრული უფლება თავისუფალის მოქალაქისა.

მღ. ალ. ოქროპირიძე.

გაზეთ „საქართველოს“ რედაქციას

(წერილი რედაქციის მიმართ)

პატივცემულო მოქალაქევ რედაქტორო! თქვენი გაზეთის მე-99 №-ში მოთავსებულია სტატია, პეტრ. დეპეშათა სააგენტოს თბილისის განყ.-ის შესახებ, რომლის ავტორიც ამ დაწესებულების ფუნქციებს და მოქმედებას სწორედ არ გვიხატავს!

სასურველია გაირჩეს ფუნქციები სააგენტოს განყოფილებისა, რომელიც მიღებულ სააგენტო დეპეშებს უგზავნის ხელის მომწერლებს,—სააგენტოს კორესპონდენტთა მოქმედებისგან.

რაც შეეხება სააგენტოს განყოფილების პირველ ჯურის ფუნქციებს, მას არავისგან არავითარი საყვედური არ გამოუწვევია, რადგანაც პეტროგრადიდან მოსული სააგენტოს ტელეგრამები სწრაფად და სათუთად ეგზავნება ადგილობრივ აბონენტებს. თქვენს გაზეთში მოთავსებულ წერილის ავტორს, არ ჰქონია მიზნად ამ მხარეს შეჰხებოდა, იგი მიგვითითებს იმ კორესპონდენციებზე, რომელიც აქედან იგზავნება სააგენტოს მიერ. ამის გამო მსურს განვაცხადო შემდეგი: რუსეთში მომხდარ დიდ ცვლილების შემდეგ სააგენტოს თავის კორესპონდენტებს ჩვენებით მიჰმართა: თუ რანაირი ცნობების მიღებაა მათგან სასურველი. ჩვენ იმ შეხედულობისანი ვართ, რომ უარყოფითი ფაქტები და შემთხვევები გამოუქვეყნებელი არ უნდა დარჩეს, როგორც წინად.

ცნობები უნდა შეეხებოდეს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრების ყველა მოვლენებს, მათ შორის პარტიულს, ხსენებულ რაიონს, პარტიულ ყრილობათა აღწერას და რეზოლუციებს ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მოქმედებას და სხ.

გვქონდა რა ყველა ეს მხედველობაში, ჩვენ არა ერთხელ მიგვიმართნია თხოვნით ადგილობრივ ორგანიზაციათა, პარტიების და პერიოდულ გამოცემებისთვის (მათ შორის თქვენი გაზეთის წარმომადგენლებისთვისაც), რათა ჩემი კორესპონდენციის ინფორმაცია მოეხდინათ.

მარტის და აპრილის განმავლობაში, სააგენტოს 200 დეპეშა გავუგზავნე, მათში ბევრი იყო ფაქტები, მოვლენანი, და რეზოლუციები ადგილობრივ პარტიებისა, როგორც: ს.-დ., ს.-რ., კ-დ., ნაც-დემ., სოც-ფედ., სიონისტებისა, დაშნაკცუტუნებისა, მაჰმადიანთა და სხვების. ყველა ამ ცნობებს საფუძვლად ან ადგილობრივ პარტიათა ინფორმაცია ედვა, ან კიდევ ადგილობრივ პრესისგან იყო ნასესხები. სხვა, არავითარი „წინააღმდეგ რევოლუციისა“ ან „ტენდენცია“ არ შემიტანია, რადგანაც იგი დიდად ეწინააღმდეგება ჩემს პირად შეხედულებებს.

მე თვითეულს ნაციას დიდს პატივსა ვსცემ, რომ მის საზოგადოებრივ ძალთა გამოსვლა რაიმე „ტენდენციებით“ შევასუსტო. კერძოდ, აპრილის 6-ს, სააგენტოს სხვა დეპეშათა შორის მე გადავეცი ზოგიერთ თბილელ გაზეთებში დაბეჭდილი მოწოდება—ქუთაისის გიმნაზიის სამხედრო აღმასრულებელ კომიტეტის პოლიტიკურ პარტიების მიმართ. აპრილის 7-ს, ქუთაისის აღმასრულებელ კომიტეტის მოწოდება, ხოლო აპრილის 11-ს მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების თბილისის საბჭოს დადგენილება ნაციონალისტების გამოსვლის შესახებ. ზემოდ დასახელებულ წერილის ავტორს, რასაკვირველია, ეს ტელეგრამები აქვს მხედველობაში, როცა ამბობს:

ნაციონალ ღვარძლის და მტრობის დასათესად ჩვენს ქვეყანაში, ამგვარი პროვოკატორები ისევ ჰპოვებენ კეთილ ნიადაგსო. მივაგდებ რა ავტორის სინიდისზე ამ ტერმინოლოგიას, მე მსურს განვაცხადო, რომ როდესაც სააგენტოს გადავეცი ადგილობრივ რევოლუციონურ-დემოკრატების ორგანოთა დადგენილებანი, მე შევასრულე კორესპონდენტობის ვალი—გადავეცი უტენდენციოდ და ამით მიზეზს ვერ მივცემდი ის დასკვნა გამოეყვანათ ზემოდ დასახელებულ წერილის ავტორს, და შემდეგ ამ წერილის კომენტატორს გაზ. „ვოზროჟდენიის“ მე № 27-ში.

ა. ქალანთაროვი.

ექიმი
მ. დ. წინამძღვრიშვილი
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა.
მიხეილის პროს. № 36, მეორე სართული.

ექიმია
ბ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა
მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ამიერ-კავკასიის რკ. გზის
მატარებლების მიმოსვლა
(დრო ნაჩვენებია თბილისის)
თბილისიდან გადის:
ბათუმისკენ საფ. № 3, 11.03 დილ.
„ სამგზ. № 9, 11.43 საღ.
ბორჯომისკენ სამგზ. № 19, 8.20 დღ.
„ „ № 17, 8.27 დილ.
გორისაკენ სამგზ. № 61, 9.10 დილ.
ბაქოსაკენ ჩქარ. № 6, 9.20 დილ.
„ სამგზ. № 8, 8.54 დღ.
„ საფ. № 4, 9.28 საღ.
ყარსისაკენ სამგზ. № 4-8, 11.18 საღ.
თბილისში მოდის:
ბათუმიდან სამგზ. № 10, 7.51 დილ.
„ საფ. № 4, 8.38 საღ.
ხაშ.-ბორჯ. სამგზ. № 20, 7.48 დილ.
„ სამგზ. № 18, 10.12 საღ.
გორიდან სამგზ. № 62, 6.34 საღ.
ბაქოდან საფ. № 3, 10.08 დილ.
„ სამგზ. № 7, 4.12 საღ.
„ ჩქარ. № 5, 10.40 საღ.
ყარს-ჯულფ. საფ. № 3***, 8.10 დილ,

კახეთის რკინის გზა
საფოსტო მატარებლების მიმოსვლა
I, II, III კლასის ვაგონებით.
(დრო ადგილობრივია)
თბილისიდან ყოველ დღე მიდის დილის 8 საათ.
გურჯაანის სადგურზე მოდის ნაშუადღევის 2 საათზე და 20 წ.
გურჯაანის სადგურიდან მიდის თელავისაკენ ნაშუად. 2 საათ. და 40 წ.
თელავში მოდის საღამოს 4 საათზე.
გურჯაანიდან მიდის წნორის-წყლის სადგურისკენ 3 საათ.
წნორის-წყლის სადგურზე მოდის საღამოს 4 საათ. და 10 წ.
თელავის სადგურიდან მოდის ყოველ დღე დილის 10 საათზე 15 წუთზე.
გურჯაანის სადგურზე მოდის დილის 11 საათ. და 35 წუთ.
წნორის-წყლის სადგურიდან მოდის გურჯაანისაკენ დილის 10 საათზე და 32 წუთზე.
გურჯაანის სადგურზე მოდის დილის 11 საათზე და 30 წ.
გურჯაანის სადგურიდან მოდის თბილისისაკენ ნაშუადღევის 12 საათზე.
თბილისის სადგურზე მოდის საღამოს 5 საათზე და 26 წ.

ექიმი
ივანე-თიკანაძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18.
ტელეფონი № 11—82.

ექიმი
მ. ფ. მგალობლიშვილი
ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: ოლღას ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—53.

ექიმი
მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიუნსკის ქუჩა, № 19.

დაბრუნდა მოგზაურობიდან
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათ ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 8.

ექიმია
მ. ი. ზარნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს ყოველ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ზდანოვსკის ქ. № 4. (ო.—202—)

ექიმი კბილისა
ე. ივ. ბაღარჯაშვილი-მათეშვილისა
იღებს ავადმყოფებს:
დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ.
ჩერქეზიშვილის და რუსთაველის ქუჩის კუთხე № 20.

ექიმი
ე. დ. შალამბერიძე
იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

1917 წ. მიიღება ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
„ნაკადულ“-ზე
წელიწადი მეთორმეტე
ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.
ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ
24 წიგნი „ნაკადული“-სა მცირე წლოვანთათვის. 12 წიგნი „ნაკადული“-სა მოზრდილთათვის.
ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი
ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი 3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.
ფოსტისთვის: Тифлисъ Головинскій пр., 8. შემოსასვლელი დავითის ქ. № 2.
დაწვრილებით ჟურნალში. რედაქტორი ნინო ნაკაშიძე
გამომცემელი თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.
(291—32)

საავადმყოფო
სამხედრო ექიმ სპეციალისტებისა მოსიარულე ავადმყოფებისთვის:
დიდი ვანქის ქუჩა № 3. ალექსანდრეს ბაღის ახლო, ტელეფონი 431.
ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 5 საათამდე.
ბელანჟე—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. ღებულობს 10—12 ს. ყოველდღე.
გეინაცი—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
ასპისოვი—ყელის, ყურის და ცხვირ. 1—2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.
ფირადოვი—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.
მონხე—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველ დღე.
ჩუდნოვსკი—შინაგან და ნერვიულ ავად. 12—1 საათ. ხუთშაბ. და კვირაობით.
ბეგზადოვი—ქალთა და საბებიო ყოველ-დღე 2—3 საათამდე.
იოსელიანი—ქალთა და საბებიო ავად. ღებულობს ორშ., ოთხშ. და პარ. 11—12 ს.
ნარიმანოვი—ვენერიული ავად. ყოველ-დღე 10—11 საათამდე.
დეკანოზოვი—ქალთა ავად. სამშაფათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.
ტროიცკაია—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე. ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.
ბაგდოევისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 3—5 საათამდე.
ალიხანოვისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 10—12 საათამდე.
100—667—14

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეზბელოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.
ყოველ დღე მოგვდის საკუთარი და სავაჭრო სახლ. „დ. მაილოვის-შვილ“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მალოსოლი“ ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის ზამთრის მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფორეჯი და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება. (წ.)

რედაქტორი ხარიტონ შარაშიძე.
სტამბა „ცხოვრება“ ასლან კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.
გამომცემელი ამხანაგობა „საქართველო“.